

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თამარ კუმლაძე

რაინდობა და რაინდული იდეალები რენესანსის ლიტერატურის კონტექსტში
ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების“ მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტზე ანგლისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო ბაქრაძე
ასოცირებული პროფესორი

გორი

2021

ანოტაცია

ნაშრომში გამოკვლეულია ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების“ რაინდთა სახეები და რაინდული იდეალები შუა საუკუნეების რაინდობასთან მიმართებაში. მსგავსებასთან ერთად, გამოკვეთილია განსხვავებაც. ამის მიზეზი უნდა იყოს ახალი ეპოქის, რენესანსის მსოფლმხედველობა და ორიენტირები, რამაც ნელ-ნელა გააუფერულა რაინდული ტრადიციები.

თემის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ აქამდე არ არის გამოკვლეული ჩოსერის გმირთა ერთი კატეგორია - რაინდთა სახეები შუა საუკუნეების საკარო (სარაინდო) ლიტერატურის რაინდებთან მიმართებაში. შუა საუკუნეებში რაინდული კოდექსი და იდეალები იყო რაინდთა ქცევის განმსაზღვრელი და იმ დროის ლიტერატურაშიც რაინდთა უზადო სახეებია წარმოდგენილი მაშინ, როცა ჩოსერის ეპოქაში რაინდობა და სარაინდო ლიტერატურა ნელ-ნელა თმობს პოზიციებს, როცა კარსმოდგარი რენესანსული კულტურა სრულიად ახალ პრინციპებსა და ნორმებს ნერგავს, როცა ჩოსერის შემოქმედებაშიც შეინიშნება ახალი ლიტერატურული მოვლენის შემოსვლა, საინტერესოა, ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების“ რაინდები რამდენად შეესატყვისებიან კლასიკური პერიოდის რაინდებს. ახალმა ეპოქამ ხომ არ შეიტანა მათ ქცევასა და ხასიათში ცვლილებები.

ნაშრომი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანია მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის - ჩოსერის შემოქმედების ყოველმხრივ შესწავლისა და ახლებურად გააზრებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ ჩოსერისეული რაინდები და შევუპირისპიროთ შუა საუკუნეების ლიტერატურის კლასიკური რაინდის სახეს. გამოვიკვლიოთ და გამოვკვეთოთ მათ შორის მსგავსება-განსხვავებები და ამის ფონზე არგუმენტირებულად დავასკვნათ, თუ რამდენად იცვალა სახე რაინდთა თვისებებმა და ზოგადად რაინდობამ.

კვლევის მეთოდები: შესრულებულია კომპარატივისტული, კულტურულ-ისტორიული და აღწერითი კვლევის მეთოდების გამოყენებით.

სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: იგი შესაძლოა გამოყენებული იქნეს, როგორც ჩოსერის შემოქმედების, ისე სარაინდო ლიტერატურის შესწავლისთვის. ასევე მოსწავლეებისა და სტუდენტების მიერ დავალების, რეფერატისა თუ პრეზენტაციის მოსამზადებლად.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ანოტაციის (ქართულ და ინგლისურ ენებზე), სარჩევის, სამი თავის, ექვსი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. გვერდების რაოდენობაა 61. გამოყენებული ლიტერატურის სია მოიცავს 32 ერთეულს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

T. Kumladze

Knighthood and Knightly Ideals in the Context of Renaissance

Literature on the Example of Chaucer's "Canterbury Tales"

Annotation

The paper explores the types of knights in Geoffrey Chaucer's "Canterbury Tales" and their knightly ideals of medieval chivalry. Along with the similarities, there are also differences. The reason for this must be the worldview and orientations of the new era, the Renaissance, which gradually faded the knightly traditions.

The novelty of the theme lies in the fact that so far one category of Chaucer heroes has not been explored - the faces of knights in relation to the knights of medieval knightly literature. In the Middle Ages, knightly code and ideals were the determinants of knightly behavior, and even in the literature of the time, flawless faces of knights are represented while in the Chaucer era, knighthood and knightly literature slowly gave up positions. Entering Renaissance culture introduces completely new principles and norms when a new literary event is introduced in Chaucer's work, and it is interesting to see how the knights of Chaucer's "Canterbury Tales" correspond to the knights of the classical period. Has the new era brought about changes in their behavior and character?

The work is as relevant as the importance of a thorough study and new understanding of the work of the classic of world literature- Chaucer.

The goal of the research is to study the Knights of Chaucer and contrast the look of the classical knight of medieval literature, to examine and point out the similarities and differences between them, and in the light of this, we can reasonably conclude how much the qualities of knights and chivalry, in general, have changed.

Research methods: The work was performed using comparative, cultural-historical, and descriptive research methods.

The Practical Significance of the master's thesis: It can be used for both Chaucer's creations as well as for the study of chivalric literature, also for preparing assignments, abstracts, or presentations by pupils and students.

Structure of the master thesis: The thesis consists of an introduction, annotation (in Georgian and English), table of contents, three chapters, six subsections, a conclusion, and a list of used literature. The number of pages is 62. The list of used literature includes 26 items in Georgian and English languages.

შინაარსი

ანოტაცია	2
Annotation.....	3
შინაარსი	4
შესავალი	5
თავი I. ეპოქათა გზაგასაყარზე.....	13
1.1 შუა საუკუნეების მსოფლმხედველობა და ლიტერატურული ტრადიციები.....	13
1.2 რენესანსის ეპოქის მსოფლმხედველობა და ლიტერატურული ტრადიციები.....	20
თავი II. ჩოსერის შემოქმედებითი გზა და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაცია.....	25
2.1. ფრანგული ლიტერატურის გავლენა ჩოსერის ადრეული პერიოდის შემოქმედებაზე	25
2.2. რენესანსული ლიტერატურის ტენდენციები ჩოსერის შემოქმედებაში.....	27
თავი III. სარაინდო ლიტერატურის ტრადიციების რენესანსული ინტერპრეტაცია „კენტერბერიულ მოთხრობებში“	32
3.1 რაინდთა სახეები.....	32
3.2. რაინდული კოდექსი	43
დასკვნა	59
გამოყენებული ლიტერატურა.....	61

შესავალი

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს რაინდობასა და რაინდულ იდეალებს რენესანსის ლიტერატურის კონტექსტში ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების“ მაგალითზე. ჯეფრი ჩოსერი (1340-1400) საყოველთაოდ აღიარებული პოეტია. მიუხედავად იმისა, რომ ჩოსერი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა რიგებში დგას და მისი „კენტერბერიული მოთხრობები“ მკითხველისთვის დიდი ხანია ცნობილია, მაინც იძლევა საშუალებას, ახალი კუთხით შევისწავლოთ და განსხვავებული თვალსაზრისი შევთავაზოთ დაინტერესებულ საზოგადოებას.

ჩოსერს უკავშირდება ინგლისური ენის აღორძინება და ლიტერატურაში რენესანსის შეტანა. მიუხედავად იმისა, რომ უილიამ შექსპირთან შედარებით, ჩოსერი ორი საუკუნით ადრე მოღვაწეობდა, მასზე მაინც გაცილებით ბევრი ცნობა მოიპოვება, ვიდრე შექსპირზე. ჩოსერის შესახებ არსებული ცნობების სიუხვეს ხსნის ის ფაქტი, რომ იგი გარდა მწერლისა, სამეფო კარის მოხელეც იყო. ჩოსერი სწორედ იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როდესაც ეროვნული სახელმწიფოს სახით ინგლისელების ჩამოყალიბება ხდებოდა. მწერლის უდიდეს ღვაწლსა და მისი შემოქმედების მნიშვნელობას ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში ხშირად ადარებენ დანტე ალიგიერის მიერ გაწეულ შრომას იტალიური ლიტერატურისათვის.

ჩოსერი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში სიმართლისაკენ მიილტვოდა, რაც მის შემოქმედებაშიც ნათლად აისახა. შექმნა რეალისტური, ცხოვრებისეული სურათების შემცველი შემოქმედება, რომელშიც შეიმჩნევა მკაცრი გაკიცხვა, ხუმრობით შეპარული ირონია, სარკაზმი და სხვა. ყოველივე ამის მიზანი საზოგადოებისათვის თვალის ახელა და მწარე რეალობის გაცნობიერება იყო. იგი ნამდვილი პატრიოტი იყო, რომელსაც ჭეშმარიტად სურდა საკუთარი ხალხის კეთილდღეობა და ნათელი მომავლისკენ მისწრაფოდა. სხვაგვარად ვერ აიხსნება ის

გარემოება, რომ მწერალი, რომელმაც უბადლოდ იცოდა ფრანგული, იტალიური და ლათინური ენები, მაინც ინგლისურ ენაზე ქმნიდა თავის ნაწარმოებებს.

ინგლისის ისტორიაში მეთოთხმეტე საუკუნე უამრავი ცვლილებითა და რყევით ხასიათდება. ლიტერატურულ ჭრილში ეს ლენგლენდისა და ჩოსერის საუკუნეა. ლენგლენდი მთელი თავისი შემოქმედებით შუასაუკუნეობრივ ტრადიციებსა და ნორმებს უკავშირდება მაშინ, როცა ჩოსერი ორი ლიტერატურული ეპოქის მიჯნაზე დგას, აჯამებს შუასაუკუნეობრივ ლიტერატურას და კარს უღებს ახალ, რენესანსულ მიღწევებს.

ჩოსერი ღვინით მოვაჭრის ოჯახში დაიბადა. სავარაუდო ფაქტია, რომ მისი ოჯახი ღვინით სამეფო კარსაც ამარაგებდა. 1357 წლისთვის იგი პაჟის საქმიანობით იყო დაკავებული სამეფო კარზე, ხოლო ორი წლის შემდეგ, საჭურველთმტვირთველის ამპლუაში მყოფი ჩოსერი საფრანგეთის წინააღმდეგ სამარ ლაშქრობაში იყო, სადაც იგი ტყვედ ჩავარდა, თუმცა ძალიან მალე იგი მეფემ ტყვეობიდან გამოსასყიდის მეშვეობით იხსნა.

ჩოსერმა სწორედ მთარგმნელობითი საქმიანობით დაიწყო თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. მან ინგლისურ ენაზე თარგმნა ბოეციუსის „ფილოსოფიით ნუგეში“, ასევე გიომ ლორისისა და ჟან დე მენის „ვარდის რომანის“ გარკვეული ნაწილი. მწერლის სახელი იმდენად სწრაფად გავრცელდა და იმდენად დიდი ცნობადობა მოიპოვა, რომ მის კალამს იმაზე მეტ ნაწარმოებებს მიაწერდნენ, ვიდრე სინამდვილეში შეუქმნია. ნიშანდობლივია, რომ ჩოსერი თარგმნის ნაცვლად უფრო მეტად ცნობილი ნაწარმოებების გადმოკეთებით იყო დაინტერესებული. ფაქტობრივად, მის თარგმანებს თავისუფალ თარგმანსაც კი ვერ ვუწოდებთ. „კენტერბერიულ მოთხრობებში“ რაინდის მიერ მოყოლილი ამბიდან პალამონისა და არსიტის ისტორია სწორედ ბოკაჩოს „თეზოსიდან“ აქვს აღებული. ამასთანავე, ჩოსერს ბოკაჩოსგან აღებული აქვს „ტროილუსისა და ქრიზეიდას“ სიუჟეტი, თუმცა ისინი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან,

რომ ჩოსერის მიერ შექმნილ ნაშრომს დამოუკიდებელ ნაწარმოებად მიიჩნევენ.

ამის შემდეგ, ჩოსერი უკვე აღარ კმაყოფილდება უდიდესი მწერლების მიერ შექმნილი ნაწარმოებების გადმოკეთებითა და თარგმნით. იგი იწყებს საკუთარი ორიგინალური ნაწარმოებების შექმნას და სწორედ აქ იცვლება მისი სტილი და ტონალობა. რაინდულ ჟანრებსა და შუასაუკუნეობრივ ნორმებს იგი შორდება და მათ ადგილს რეალიზმისაკენ სწრაფვა იკავებს.

ჯერო ჩოსერის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა სამ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი ფრანგული პერიოდის სახელითაა ცნობილი, რომელიც 1373-1378 წლებით თარიღდება. ეს ის პერიოდია, როდესაც მწერალი ფრანგულიდან თარგმნის და ეწაფება მდიდარი ფრანგული შუასაუკუნეობრივი ლიტერატურის ტრადიციებს. ფრანგული პერიოდის შემდეგ მოდის იტალიური პერიოდი, რომელიც 1372 წლის იტალიაში მოგზაურობის შედეგად იწყება. აღნიშნულ ეტაპზე ჩოსერი აღფრთოვანებით ეწაფება იტალიელი ბუმბერაზების, დანტეს, ბოკაჩოსა და პეტრარკას შემოქმედებას, სადაც რენესანსული მსოფლმხედველობა მძვინვარებს. აღნიშნულ პერიოდში მან შექმნა ისეთი უდიდესი ნაწარმოებები, როგორცაა: „ჰერცოგის ქალის ბლანშის სიკვდილის გამო“, „დიდების სახლი“, „ფრინველთა საბჭო“, „ტროილი და ქრიზეიდა“ და კიდევ მრავალი სხვა. მესამე ეტაპს ინგლისურ ან კენტერბერიულ პერიოდად მოიხსენიებენ, რომელიც 80-იანი წლების შუა ნაწილიდან იწყება. სწორედ ინგლისურ პერიოდში აღწევს მწერალი თავისი შემოქმედების სიმწიფეს.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ჩოსერის შემოქმედების შესახებ მხოლოდ ერთი მონოგრაფიული ნაშრომი არსებობს მაშინ, როცა მსოფლიოში მის შესახებ ძალიან ბევრი გამოკვლევაა შექმნილი. ჩოსერისადმი არაერთი ლინგვისტური ხასიათის დისერტაციაა მიძღვნილი, რომელთა შორის, ერთ-ერთის ავტორი ქართველი მეცნიერია (თ.შ. სანიკაძე-1954 წელი).

შექსპირისა და მილტონის ნაწარმოებებს საქართველოში ქართველი მკითხველი ეცნობოდა, თუმცა მათ არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ ჩოსერის შემოქმედება წაეკითხათ მშობლიურ ენაზე. ორიგინალიდან ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობები“ გიორგი ნიშნიანიძემ 1977 წელს თარგმნა, რაშიც ნამდვილად დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის. ჩოსერის ამ დიადი ნაწარმოების თარგმნა საკმაოდ რთული პროცესი იყო და ამას განაპირობებდა მისი დიდი მოცულობა, მასში არსებული უამრავი შუასაუკუნეობრივი ცნება, მხატვრული სპეციფიკა და სხვა. თარგმნას თავი ნიშნიანიძემ მართლაც რომ მშვენივრად გაართვა, რაზეც ასევე მეტყველებს თამარ ერისთავის მიერ გამოქვეყნებული რეცენზია, სადაც იგი ხაზს უსვამს მთარგმნელის ნიჭსა და მას ქებით მოიხსენიებს. თარგმანს დართული აქვს ც. თოფურიძის წინასიტყვაობა, სადაც მან გამოკვეთა ჯეფრი ჩოსერის შემოქმედების ფაზები და ასევე ის ელემენტები, რომელიც მისი შემოქმედებისათვის იყო დამახასიათებელი. ინგლისური იამბიკური პენტამეტრი ქართულ თარგმანში თოთხმეტ მარცვლიანი ლექსით ჩაანაცვლეს, რაც შექსპირის უდიდესი მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის დამსახურებაა.

მანამ, სანამ „კენტერბერიული მოთხრობების“ ქართული თარგმანი 1977 წელს გამოვიდოდა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი რამდენიმე ნაწყვეტი გამოქვეყნდა ჟურნალების - „ხომლის“, „დროშისა“ და „ცისკრის“ ფურცლებზე. აღნიშნულ ჟურნალებში ჩოსერის პოემის ნაწყვეტების გამოქვეყნების ქრონოლოგია შემდეგნაირია:

1. ჟურნალი „დროშა“ 1973, N6, გვ. 11-12,
2. ჟურნალი „ცისკარი“ 1975. N12, გვ. 113-120, მთარგმნელი გ. ნიშნიანიძე,
3. ჟურნალი „ხომლი“: უცხოური ლიტერატურის აღმანახი. თბილისი, 1973. N9, გვ. 93-145.

1970 წელს ჟურნალ „ხომლის“ მეხუთე ნომერში რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე წერს: „დიდი ინგლისელი მწერლის ჯეფრი ჩოსერის შემოქმედებიდან დღემდე არც ერთი სტრიქონი ქართულად არ თარგმნილა. ჩვენი თხოვნით, ახალგაზრდა პოეტი გიორგი ნიშნიანიძე შეუდგა ჩოსერის უკვდავი ნაწარმოების „კენტერბერიული მოთხრობების“ ქართულად თარგმნას. ჩვენი აღმანახის ამ ნომერში გთავაზობთ ორ ნაწყვეტს თარგმნიდან და დოცენტ ციალა თოფურიძის წერილს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. რამდენიმე ნაწყვეტს შემდგომ ნომერებშიც გამოვაქვეყნებთ“ (ჭელიძე 1970:150).

ჩოსერმა საკმაოდ დიდი კვალი დატოვა ინგლისურ ლიტერატურაში და სწორედ ამიტომაც მას მეთხუთმეტე საუკუნეში უამრავი მიმბაძველი ჰყავდა, რომელთა რიგებშიც არიან ტომას ოკლივი, ჯონ ლიდგეიტი და სხვა მწერლები. თუმცა ბოლომდე ვერც ერთმა მათგანმა შეძლო მისი შემოქმედების მხატვრულ დონემდე მიახლოვება.

ინგლისურ ლიტერატურაში ჩოსერმა შემოიტანა ახალი რენესანსული კულტურისათვის დამახასიათებელი პროგრესული და განსხვავებული ელემენტები. იგი აღორძინების ეპოქის პირველი წარმომადგენელი იყო ინგლისში. ინგლისური ლიტერატურული ენა პირველად სწორედ ჩოსერმა ჩამოაყალიბა, ასევე მან ინგლისურ სილაბურ-ტონურ ლექსთწყობას ჩაუყარა საფუძველი. ინგლისურმა ენამ, რომელსაც მხოლოდ სალაპარაკო ფუნქცია ჰქონდა, ჩოსერის შემოქმედების შემდეგ დაიბრუნა ლიტერატურის ენის სტატუსი და შემდეგ კვლავ სახელმწიფო ენად იქცა. ინგლისურ ლიტერატურაში სწორედ ჯეფრი ჩოსერმა დანერგა სარკაზმი, იუმორი.

მეთოთხმეტე საუკუნეში დიდ ძვრებს ქონდა ადგილი. ეს ხომ ის საუკუნეა, როდესაც ინგლისი დამოუკიდებელ ერად ყალიბდება. ფრანგულის ბატონობას როგორც იქნა სძლია ინგლისურმა ენამ და მოქალაქეობრივი უფლებაც მოიპოვა. დამკვიდრებული ტრადიციის საპირისპიროდ, ჩოსერი მხოლოდ ინგლისურ ენაზე წერდა თავის

ნაწარმოებებს და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ხიზლი და გამორჩეულობა. ჩოსერის მიზამვით დაიწყეს სხვა მწერლებმაც ინგლისურ ენაზე წერა. ჩოსერის მეგობარი ჯონ გაუერი მხოლოდ ფრანგულ და ლათინურ ენებზე წერდა, რადგან შუასაუკუნეობრივი ლიტერატურული ნორმები ასე მოითხოვდა. ჩოსერის გავლენის ქვეშ მოქცეულმა გაუერმაც საბოლოოდ, საკუთარი ნაწარმოებების წერა ინგლისურ ენაზე დაიწყო.

მთელი თავისი ოსტატობით, ჩოსერი ნამდვილად არ ჩამოუვარდება პრერენესანსისა და რენესანსის სახელოვან შემოქმედებს. იგი შუა საუკუნეების ლიტერატურას აჯამებს და ახალ, რენესანსულ ტრადიციებსა და ფასეულობებს უღებს კარს, სწორედ ამიტომ იგი რენესანსის პირველი წარმომადგენელია ინგლისში. მიუხედავად მეთოთხმეტე საუკუნეში მომხდარი ავადმყოფობების, სისხლის ღვრის, შავი ჭირის, რელიგიური დევნისა და შინაომებისა, ინგლისში მაინც შეძლო ინგლისურმა ენამ ფრანგულზე გამარჯვება და საბოლოოდ, სახელმწიფო და სალაპარაკო ენადაც იქცა. სწორედ ამ პროცესების სათავეში იდგა ჯეფრი ჩოსერი, რეფორმატორი და ბრწყინვალე შემოქმედი. ამგვარად, ზემოთხსენებული ფაქტებისა და არგუმენტების საფუძველზე სამართლიანად უწოდებენ მეთოთხმეტე საუკუნეს „ჩოსერის საუკუნეს“ და არა მხოლოდ მეთოთხმეტეს, ლამის შექსპირამდე ეპოქას ამ სახელწოდებით სცნობენ.

ჩოსერის პოპულარობა დროსთან ერთად უფრო და უფრო იზრდებოდა. ყოველ ახალ საუკუნეში, მისი შემოქმედების არსი და აზრი ახლებურად აღიქმებოდა.

მეთოთხმეტე საუკუნეში ჩოსერის ეპიგონი პოეტების სკოლის დაარსება მწერლის მიმდევრების მიერ, ასევე ხაზს უსვამს ჩოსერის პოპულარობასა და მის დაფასებას. თუმცა მეთექვსმეტე საუკუნეში კიდევ უფრო იმატა მწერლისადმი ინტერესმა. მისი შემოქმედება არაერთი მწერლის შთაგონების წყარო გახდა. ჩოსერის შემოქმედებამ თავად უილიამ შექსპირისა და ბენჯამინ ჯონსონის დრამებიც კი ასაზრდოვა. შედარებით გვიან, ინგლისელმა რომანტიკოსებმა მათთვის დამახასიათებელი

მგზნებარებითა და ოსტატობით წარმოუდგინეს მკითხველს მეთოთხმეტე საუკუნის უდიდესი შემოქმედი. 1868 წელს დღის წესრიგში დადგა „ჩოსერის საზოგადოების“ ჩამოყალიბება, რომლის უპირველეს მიზანს ჩოსერის შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლა და დამუშავება წარმოადგენდა.

აღნიშნული პროცესი დღესაც უწყვეტლივ მიმდინარეობს. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში „კენტერბერიული მოთხრობები“ ექცევა. თუმცა მისი დამუშავება ადვილი საქმე როდია. ჩვენამდე ტექსტი სხვადასხვა ხელნაწერების სახით არის მოღწეული, თუმცა მათ შორის არ არის ავტორისეული ხელნაწერი. „კენტერბერიული მოთხრობები“ თავისი არქაული ლექსიკის გამო არც თუ ისე მარტივად გასაგები და აღსაქმელია თანამედროვე მკითხველისთვის. სწორედ ამიტომ, იგი თანამედროვე ინგლისურზეც არის ნათარგმნი. ამის გარდა, ნაწარმოები მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი.

თემის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ აქამდე არ არის გამოკვლეული ჩოსერის გმირთა ერთი კატეგორია - რაინდთა სახეები შუა საუკუნეების საკარო (სარაინდო) ლიტერატურის რაინდებთან მიმართებაში. შუა საუკუნეებში რაინდული კოდექსი და იდეალები იყო რაინდთა ქცევის განმსაზღვრელი და იმ დროის ლიტერატურაშიც რაინდთა უზადო სახეებია წარმოდგენილი მაშინ, როცა ჩოსერის ეპოქაში რაინდობა და სარაინდო ლიტერატურა ნელ-ნელა თმობს პოზიციებს, როცა კარსმომდგარი რენესანსული კულტურა სრულიად ახალ პრინციპებსა და ნორმებს ნერგავს, როცა ჩოსერის შემოქმედებაშიც შეინიშნება ახალი ლიტერატურული მოვლენის შემოსვლა, საინტერესოა, ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების“ რაინდები რამდენად შეესატყვისებთან კლასიკური პერიოდის რაინდებს. ახალმა ეპოქამ ხომ არ შეიტანა მათ ქცევასა და ხასიათში ცვლილებები.

ნაშრომი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანია მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის - ჩოსერის შემოქმედების ყოველმხრივ შესწავლისა და ახლებურად გააზრებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ ჩოსერისეული რაინდები და შევუპირისპიროთ შუა საუკუნეების ლიტერატურის კლასიკური რაინდის სახეს. გამოვიკვლიოთ და გამოვკვეთოთ მამ შორის მსგავსება-განსხვავებები და ამის ფონზე არგუმენტირებულად დავასკვნათ, თუ რამდენად იცვალა სახე რაინდთა თვისებებმა და ზოგადად რაინდობამ.

კვლევის მეთოდები: შესრულებულია კომპარატივისტული, კულტურულ-ისტორიული და აღწერითი კვლევის მეთოდების გამოყენებით.

სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: იგი შესაძლოა გამოყენებული იქნეს, როგორც ჩოსერის შემოქმედების, ისე სარაინდო ლიტერატურის შესწავლისთვის. ასევე მოსწავლეებისა და სტუდენტების მიერ დავალების, რეფერატისა თუ პრეზენტაციის მოსამზადებლად.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ანოტაციის (ქართულ და ინგლისურ ენებზე), სარჩევის, სამი თავის, ექვსი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. გვერდების რაოდენობაა 61. გამოყენებული ლიტერატურის სია მოიცავს 32 ერთეულს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

თავი I. ეპოქათა გზაგასაყარზე

1.1 შუა საუკუნეების მსოფლმხედველობა და ლიტერატურული ტრადიციები

დღეს დღეისობით, როდესაც გვესმის სიტყვა რაინდი, გონებაში წარმოგვიდგება ჭეშმარიტად ღირსეული ვაჟკაცი, რომელიც პატივისცემას გამოხატავს და გულუხვობას იჩენს ირგვლივ მყოფთა მიმართ. ხოლო ევროპაში, ძველად ეს სიტყვა სამხედრო წოდება იყო, რომლის დამსახურებასაც ბევრი წვრთნა და შრომა სჭირდებოდა. შუა საუკუნეებში რაინდთა ფენა იყო ნებისმიერი სახელმწიფოსა და მეფის საყრდენი ძალა. სიტყვა „რაინდი“ სამხედრო მოსამსახურეს მოიაზრებდა და იგი იყო მხედარი. ლაშქრის ძირითად ნაწილს რაინდები შეადგენდნენ, პატივისცემას იმსახურებდნენ საზოგადოების მხრიდან. ისინი თავგანწირვით იცავდნენ სიუხერენს და გაწეული სამსახურის გამო „ჯილდოდ“ მამულებსა და მიწებს იღებდნენ. რაინდი მისაბაძი და საამაყო პიროვნება იყო, რაინდად კურთხევა კი - დიდი პატივი. რაინდად კურთხევის შემდეგ მის მთავარ მოვალეობას სარაინდო წესების მკაცრი დაცვა წარმოადგენდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას წოდება ჩამოერთმეოდა.

რაინდთა საზოგადოება მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და მათ ზნეობრივ-მორალურ კრედოს საკუთარი ღირსების დაცვა და ღვთის სამსახური წარმოადგენდა. რაინდობისათვის შვიდი წლის ასაკიდანვე ემზადებოდნენ. კეთილშობილი ოჯახებიდან ვაჟები სენიორის სასახლეში მიჰყავდათ, სადაც ისინი რაინდისთვის საკადრ თვისებებსა და უნარებს სწავლობდნენ/ეუფლებოდნენ. საჭურველმტვირთველის წოდებას ისინი თოთხმეტი წლის ასაკიდან იღებდნენ, ხოლო რაინდისას კი - ოცდაერთი. რა თქმა უნდა, რაინდობა საკმაოდ დიდი პატივი და ასევე დიდი პასუხისმგებლობა იყო თითოეული ინდივიდისათვის, რაინდად კურთხევას თან ახლდა გარკვეული ცერემონიალი. კერძოდ კი, ტაძარში

თეთრ სამოსელში გამოწყობილი ჭაბუკი ლოცვაში ათენებდა ღამეს, ხოლო დილით ზიარების შემდეგ იგი სარაინდო ფიცს დებდა, სენიორი კი საკურთხევილიდან გამოტანილ მახვილს მხრებსა და თავზე სამჯერ ადებდა შემდეგი სიტყვებით: „ღვთის, წმინდა გიორგისა და წმინდა მიქაელის სახელით გაკურთხებ შენ რაინდად“ (გუბელაძე 2014: 34).

რაინდის საცხოვრებელს ციხე-კოშკი წარმოადგენდა, სადაც იგი თავის ამაღასთან ერთად ცხოვრობდა. საცხოვრებელი პირობები არც თუ ისე სახარბიელო იყო, ოთახებს ბუხრის მეშვეობით ათბობდნენ, განიცდიდნენ სინათლის ნაკლებობას და არც ჰიგიენის დაცვის პირობები გააჩნდათ. რაინდობა ძველებურ მნიშვნელობას მეცამეტე საუკუნის ბოლო პერიოდიდან კარგავს. ნელ-ნელა ილახება მათი ღირსება, იარაღს უკვე სხვის დასაცავად კი არ ხმარობენ, არამედ ბოროტი მიზნებისა და უსაფუძვლო დუელებისათვის.

ინგლისური სარაინდო რომანები სიუჟეტურ კონტექსტში ფრანგულ სარაინდო რომანს წააგავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგულ სარაინდო რომანში კურტუაზიულ სიყვარულს მთავარი ადგილი უკავია. კრეტიენ დე ტრუას შექმნილი აქვს კურტუაზიული ლიტერატურის შედეგები. მისი ნაწარმოებების უმეტესობა 1164-1191 წლებითაა დათარიღებული. მან თავისი ნაწარმოებები ბრეტანულ სიუჟეტზე ააგო, რომლებიც საგმირო და კურტუაზიული ელემენტებით იყო გაჯერებული და მნიშვნელოვან ადგილს რაინდულ თავგანწირვასა და ამაღლებულ სიყვარულს უთმობდა.

კურტუაზიული სიყვარული ისეთი სიყვარულია, როცა რაინდს წარმოსადეგი, გათხოვილი ქალბატონი უყვარს, რომელიც თავისი სილამაზით ყველას ატყვევებს. როგორც ყველა რაინდს შეშვენის, რა თქმა უნდა, შეყვარებული რაინდიც ყველაფერს აკეთებს საყვარელი ქალის გულის მოსაგებად, მისი მონა-მორჩილი ხდება. ვინაიდან რა რადგანაც ქალი რაინდზე იერარქიულად შედარებით მაღალ დონეზე დგას, ამიტომ ეს უკანასკნელიც თავს არ ზოგავს მაღალი წრის ქალბატონის მოსახიბლად,

თავს აწონებს თავისი სიმამაცით, ძალით, გამბედაობითა და ყველა სხვა კარგი თვისებით, რომლებიც რაინდებს გააჩნდათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ პლატონური როდი იყო, მას ხორციელი სიყვარულიც თან ახლდა.

შუასაუკუნეებში რაინდებსა და ქალბატონებს შეეძლოთ ერთმანეთის მიმართ აღფრთოვანება გამოეხატათ იმისდა მიუხედავად, თუ როგორ ოჯახური მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ისინი. ტურნირის დროს ჩვეულებრივ და მისაღებ ტონად ითვლებოდა თუნდაც დაქორწინებული ქალბატონის მიმართ ინტერესის გამოჩენა. ამგვარი თავაზიანი მიზნები მისაღები იყო, თუმცა არსებობდა მკაცრი წესები, რომელთა დაცვაც აუცილებელი იყო, ისეთი წესები, როგორებიცაა უბიწოება და ერთგულება.

მიუხედავად იმისა, რომ სარაინდო ლიტერატურაში წარმოდგენილი სიუჟეტები საკმაოდ ფანტასტიკურია, სადაც გმირები ზღაპრულ არსებებს ხვდებიან, დაეხეტებიან დაბრკოლებიდან გამოსავლის ძიების იმედით, მასში მაინც არის რეალური სამყარო წარმოდგენილი. კურტუაზიულ ლიტერატურაში წარმოდგენილი პირობითი სამყაროს გარდა, ადამიანთა ინტიმური და ხორციელი მისწრაფებების მომენტებსაც ვხვდებით.

ასეთი ტიპის ნაწარმოებები და ისტორიები იმდროინდელი საზოგადოებისთვის ძალიან საინტერესო და თავშესაქცევი იყო. მათ მოსწონდათ ისტორიები, სადაც მთავარი პერსონაჟი ერთდროულად გმირიც იყო, მამაციც, ღმერთისა და თავისი სენიორის ერთგული და ამასთან ერთად, საყვარელ ქალსაც ემსახურებოდა.

სარაინდო ლიტერატურის ასახვის ობიექტია რაინდთა ფენა, მათი ყოფა, ტრადიციები და იდეალები. რაინდთა წრეში ე. წ. კურტუაზული ანუ დახვეწილი ქცევის ნორმები ჩამოყალიბდა. აღნიშნული ნორმების მიხედვით, რაინდი კეთილშობილი და პატიოსანი უნდა ყოფილიყო, ასევე უანგარო და მოწყალე, სუსტისა და დაუცველის ქომაგი. რაც ყველაზე მთავარია, რაინდი თავისი მანდილოსნის ერთგული მსახური უნდა

ყოფილიყო, პატივი უნდა ეცა მისთვის და საჭიროებისამებრ, თავიც კი გაეწირა.

არსებობდა ისეთი იდეალიზებული თვისებები, რომლებიც ყველა რაინდისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, ესენია: ვაჟკაცობა, თავაზიანობა, პატივი და გალანტურობა ქალების მიმართ. რაინდთა კოდექსი ხაზს უსვამდა რაინდობის ცერემონიალისას დადებულ ფიცს, რომელსაც საკმაოდ დიდი დატვირთვა ჰქონდა. რაინდისათვის ფიცის გატეხვა წარმოდგენილი და უპატივბედი იყო. საბრძოლო წმინდა ფიცის პირნათლად შესრულებას ასევე თან ერთვის მკაცრი ეტიკეტის დაცვა მანდილოსნების მიმართ. რაინდთა ცხოვრება ასახული იყო მხოლოდ დადებითი მხრიდან. ისინი მისაბამი, ერთგული და გულადი ადამიანები იყვნენ. მათთვის დაუშვებელი იყო ღალატი სიუზერენის, სამშობლოს, მეგობრისა და სატრფოს მიმართ.

რაინდი გარდა ომისა, ტურნირებშიც მონაწილეობდა. ტურნირები მისი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. რაინდისათვის ტურნირი მხოლოდ გართობის საშუალება არ იყო. მათი მეშვეობით, ისინი გარკვეულ ვარჯიშსა და წვრთნას გადიოდნენ და ზოგ შემთხვევაში იგი სერიოზული ტრავმით ან სიკვდილითაც კი სრულდებოდა. თუმცა ამის მიუხედავად, რაინდები ტურნირში თავიანთ სიმამაცეს, ღირსეულებასა და უზადლო საბრძოლო ოსტატობას უსვამდნენ ხაზს და აუდიტორიისათვის ამის დემონსტრირებასაც ახდენდნენ. ახალგაზრდა რაინდებისათვის ეს კარგი შესაძლებლობა იყო იმისა, რომ წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები და მიეღოთ ის, რაც მათ ასე ძალიან სურდათ, ეს იყო პატივისცემა, დიდება და მდიდარი მანდილოსნის ყურადღება.

რაინდისათვის ღირსება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ორთაბრძოლაშიც კი, მნიშვნელოვანი ის კი არ იყო, რომ გაემარჯვა, არამედ-ბრძოლის წესების წესიერად და პატიოსნად დაცვა. ამასთანავე, მისთვის არა მხოლოდ საკუთარი ღირსების დაცვა იყო მთავარი, არამედ დამარცხებული მოწინააღმდეგისაც. ნამდვილ რაინდს ისე უნდა ეზეიმა საკუთარი

გამარჯვება, რომ ამით დამარცხებულის ღირსება და თავმოყვარეობა არ შეებღალა. თუმცა ყველა მეზრდოლი არ მიჰყვებოდა ამ მთავარ ზნეობრივ წესს.

რაინდი, როგორც უკვე აღინიშნა, მისაბამი მაგალითი და გალანტურობის ეტალონი უნდა ყოფილიყო. ქცევის ეტიკეტის ცოდნა და დაცვა რაინდისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, რადგან იგი სასახლესთან საკმაოდ დაახლოებული პირი იყო. რაინდები სპეციალურ აღზრდას გადიოდნენ. თავდაპირველად იგი იყო პაჟი, შემდეგ საჭურველმტვირთველი, მოგვიანებით იუნკერი, საბოლოოდ კი - რაინდი. პაჟის ამპლუაში მათ ევალეობოდათ სასახლეში მყოფთ წარჩინებულთა ნებისმიერი დავალების შესრულება. პაჟის საქმიანობის შემდეგი ფაზა იყო საჭურველმტვირთველობა, რომლის დროსაც ვაჟი ნელ-ნელა ეუფლებოდა საბრძოლო ტექნიკას, სწავლობდა იარაღის სწორად მოხმარების წესებს და რაც ყველაზე მთავარია, მას ასწავლიდნენ, თუ როგორი მორჩილი უნდა ყოფილიყო პატრონისა. სწორედ ხანგრძლივი და ბეჯითი შრომის შედეგად იყო რაინდი უბადლო ცხენოსანი, საუცხოო მეომარი და კიდევ სხვა უამრავი უნარით შემკული. თუმცა გარდა ფიზიკური ძალისა, მათ კარგი სიტყვა-პასუხი და მაღალფარდოვანი საუბარიც შეეძლოთ.

რაინდთა აღზრდასა და წვრთნაში ასევე საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა იმდროინდელი სარაინდო ლიტერატურული ნიმუშები, რომელთა ავტორებიც ხშირ შემთხვევაში თავად რაინდები იყვნენ. მათ ხომ ყველაზე კარგად იცოდნენ სარაინდო კოდექსი და მისი მკაცრი დამცველებიც იყვნენ. რაინდთა წრეში იმყოფებოდნენ ისეთი შესანიშნავი მწერლები, როგორებიც არიან კრეტიენ დე ტრუა, ეს არის შემოქმედი, რომელმაც ჭეშმარიტი კურტუაზიული ლიტერატურის შედეგები შექმნა და ფრანგული კურტუაზიული რომანის წარმომადგენლად ითვლება, ასევე ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე, ჰაინრიხ ფონ ფელდეკე, რომელიც გერმანული სარაინდო რომანის ფუძემდებლად გვევლინება, ჰარტმან ფონ

აუე, ვოლფრამ ფონ ეშენბახი, რომელთა კალამსაც არაერთი სარაინდო რომანი ეკუთვნის.

კრეტიენ დე ტრუას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მეფე არტურის თქმულებათა ციკლის დამუშავებაში. მან მრგვალი მაგიდის რაინდების - ლანსელოტის, ივენის, ერიკის, კლიჟესა და სხვათა შესახებ ცალკეული ნაწარმოებები შექნა და ისინი არტურის რომანების ციკლში გააერთიანა. კრეტიენ დე ტრუამ აზრი იმის შესახებ, რომ რაინდი ერთნაირად კარგი უნდა იყოს სიყვარულსა და ოჯახურ ცხოვრებაში მშვენივრად წარმოაჩინა ნაწარმოებებში „ერიკი და ენიდა“ და „ივენი ანუ ლომის რაინდი“. რაც შეეხება იმ მარადიულ და ამოუხსნელ შეკითხვას, თუ როგორი უნდა იყოს სიყვარული, კრეტიენ დე ტრუა პასუხს იძლევა რომანებში „ლანსელოტი ანუ ფორნის რაინდი“ და „კლიჟე“.

„ერიკი და ენიდე“ დე ტრუამ 1165 წელს დაწერა, სადაც მოქმედება მეფე არტურის სასახლის კარზე ხდება. სამეფო კარის რაინდების საგმირო საქმეების გარდა, ნაწარმოებში სასიყვარულო თავგადასავლებსაც შევხვდებით. ერეკისა და ენიდეს ცოლ-ქმრული სიყვარული ნაწარმოების ბოლოს იმარჯვებს.

VIII-IX საუკუნეებში მეფე არტურის შესახებ ლეგენდები შეიქმნა. ლეგენდის მიხედვით, მშობლიური მიწის დასაცავად არტური ანგლებსა და საქსებს ებრძოდა. ამის შემდეგ, მეფე არტურის სახე გააზვიადეს და წარმოადგინეს ყველაზე ძლიერ რაინდად, რომელიც უშიშარი და მამაცია. ჯეფრი მონმაუთელის „ბრიტანეთის მეფეთა ისტორია“-ში (XII ს.) ასევე ვხვდებით მეფე არტურსა და მამაც რაინდებს. ძღვეამოსილი მეფე არტური სასახლეში ცხოვრობს თავისი უმშვენიერეს მეუღლე ჯინევერასთან ერთად, სადაც თავს მრავალი სახელგანთქმული რაინდი ახვევია. ისინი შიგადაშიგ სასახლეს ტოვებენ, რათა ფათერაკები ეძიონ და საგმირო საქმეები ჩაიდინონ. თქმულებების მიხედვით, სწორედ მეფე არტურმა შექმნა მრგვალი მაგიდა, სადაც თავის რჩეულ რაინდებთან ერთად თანასწორუფლებიანობით სარგებლობდა. ისინი მოგვიანებით საკმაოდ

მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ, როგორც ფრანგულ, ისე ინგლისურენოვან სარაინდო პოეზიაში, სადაც მეფე არტური წარმოდგენილია, როგორც უდიდესი მმართველი და ბრძენი ადამიანი.

როდესაც სარაინდო ლიტერატურაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევხვით მარი ფრანგის, რობერტ დე ბორონისა და უესის შემოქმედებას, რომელიც საფუძვლად დაედო ინგლისში სარაინდო პოეზიის განვითარებას და გაჩნდა კურტუაზიული სარაინდო რომანი.

XII საუკუნის პოეტის, მარი ფრანგის ნოველებში მოთხრობილია ღირსეული და პატივსაცემი რაინდების სიყვარულის შესახებ, აღწერილია მათი ქმედებები და ა.შ. ნოველებში ავტორს ასევე წარმოდგენილი აქვს ორ ადამიანს შორის წარმოშობილი ვნებათაღელვა და სამეფო კარის ყოფაცხოვრების ამსახველი სურათები. სწორედ, რომ მარი ფრანგის დამსახურებით გახდა პოპულარული ტრისტანისა და იზოლდეს სახელგანთქმული კელტური თქმულება, რომლებმაც მოგვიანებით, არაერთი ავტორის ინტერესი და ყურადღება გამოიწვია და სხვა ნაწარმოებებსაც დაედო საფუძვლად. სარაინდო პოეზიის სამშობლოდ პროვანსი ითვლება, სადაც იგი დიდგვაროვანთა წრეში აღმოცენდა.

სარაინდო რომანების გაცნობისას, დროის ფაქტორი მეტად უჩვეულო და საინტერესო ფენომენს წარმოადგენს. ნაწარმოებებში დრო საკმაოდ სწრაფად ვითარდება და შესაბამისად, მოქმედი გმირები თვალის დახამხამებას ვერ ასწრებენ, ისე გადის დრო. მაგალითისათვის ავიღოთ ივენი, რომელმაც ტურნირებში გართობისას, ვერც კი შენიშნა, თუ როგორ გაირბინა მეუღლის მიერ დათქმულმა ერთმა წელმა. ან თუნდაც ლანსელოტის შემთხვევაში. დამე, რომელზეც იგი დიდხანს ოცნებობდა, ძალიან მალე მიუახლოვდა დასასრულს. თუმცა შესაძლოა, სარაინდო რომანში დრო ასევე შენელებული იყოს და ტაატიტ გადიოდეს. მაგალითად, ივენის ფათერაკები ლომთან ერთად, საყვარელი გინევრას ტყვეობიდან დახსნის გამო ლანსელოტის გაუთავებელი ბრძოლა და თავგანწირვა. დროის პერიოდი ძალიან გაწელილია ასევე პერსევალისთვისაც, რომელიც

ხანგრძლივ მოგზაურობაში იმყოფებოდა გრაალის საძებნელად და ა.შ. საბოლოოდ, სარაინდო რომანში ყველაფერი კარგად სრულდება. რაინდი, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა საკუთარი მიზნისათვის, იხდენს განზრახვას, სანუკვარ ოცნებას და ცხოვრობს დიდხანს და ბედნიერად.

ნიშანდობლივია ასევე ის ფაქტი, რომ სარაინდო რომანების პერსონაჟები „უასაკონი“ არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არ ბერდებიან და მარად ახალგაზრდები რჩებიან. ისინი მუდამ ძლიერნი, მამაცნი და დახმარებისთვისა და საგმირო საქმეების ჩადენისათვის მუდმივ მზადყოფნაში არიან. თუმცა ამ ყველაფერთან ერთად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დრო მაინც ყველასთვის სხვადასხვაგვარად მიედინება.

სარაინდო ლიტერატურა დახვეწილ მანერებსა და ეტიკეტს ნერგავდა. საკარო მწერლობაში ხშირად ვხვდებით ფანტასტიკურ ელემენტებს. მათში წარმოდგენილი ზღაპრული პერსონაჟები ძალ-ღონეს არ იშურებენ საკუთარი მისწრაფებების ხორცშესხმისთვის, გაუჩერებლად დაეხეტებიან გამოსავლის ძიების სურვილით გაშმაგებულნი და ამ ყველაფრის მიუხედავად, კურტუაზულ ლიტერატურაში მაინც ვხვდებით ამბების რეალისტურ აღწერას.

1.2 რენესანსის ეპოქის მსოფლმხედველობა და ლიტერატურული ტრადიციები

აღორძინების ეპოქა დასავლური კულტურის წინსვლისა და განვითარებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი პერიოდია. სწორედ რომ აღორძინების ხანაში ჩამოყალიბდა ახალი, ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, რომლებიც შუა საუკუნეების პერიოდში გაბატონებულ მსოფლმხედველობას უპირისპირდება. ამ ეპოქის მკვლევარების მიხედვით, „ქვეყნისა და ადამიანის აღმოჩენა“ აღორძინების მთავარი მიზანი და დანიშნულებაა. უდიდესი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური

ძვრებისა და გადატრიალების ფონზე, ადამიანის ინდივიდუალურობა იღვიძებს და მისი მსოფლმხედველობა ძველი დროის ტყვეობიდან გამოდის. ადამიანი იწყებს გამოცოცხლებას, სიცოცხლით ტკბობას. ისტორიკოსები გამოყოფენ ერთმანეთისაგან ინგლისურ რენესანსს, იტალიურს, აღმოსავლურს და ა.შ.

იტალიას რენესანსის სამშობლოდ მიიჩვენებენ, რადგან საფუძველი ამ მოვლენას იქ ჩაეყარა და თავდაპირველად რენესანსული მოძრაობა სწორედ იტალიაში დაიწყო. რენესანსი, რომელიც ნიშნავს „ხელახლა დაბადებას“, „აღორძინებას“, ანტიკური ხელოვნების განახლებასთან ასოცირდება, თავად რენესანსი ხომ ინტელექტუალურ და კულტურულ მოძრაობას წარმოადგენდა. იტალიაში ქალაქების ზრდა დაიწყო, რაც ვაჭრობის გაძლიერებამ განაპირობა. ვენეცია, გენუა და ფლორენცია ძალიან მალე სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებად იქცნენ. აღნიშნულმა ქალაქებმა ფეოდალური ბატონობისაგან თავი გაითავისუფლეს, რის შედეგადაც მათ საკუთარი თვითმმართველობა შექმნეს, სადაც ძალიან მოკლე დროში განვითარდა ვაჭრობა, მევახშეობა და ა.შ.

რენესანსის ნიშნები XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე ჩნდება, განსაკუთრებით კი იტალიელი უდიდესი მწერლის დანტე ალიგიერის (1265-1321) შემოქმედებაში, რომელსაც ახალი დროის პირველ მგოსნად მოიხსენიებენ. დანტესთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია აღორძინების ხელოვნების განვითარებაში ისეთი დიდი იტალიელი მწერლების როლი, როგორებიც არიან ჯოვანი ბოკაჩო და ფრანჩესკო პეტრარკა, სწორედ მათ მიიჩნევენ იტალიაში სალიტერატურო ენის ფუძემდებლებად. ამასთანავე, პეტრარკა და ბოკაჩო იტალიელი ჰუმანისტების პირველ თაობას წარმოადგენენ.

XIV-XV საუკუნეებში საქალაქო ცხოვრების განვითარებამ და ამასთანავე, ხელოსნობისა და ვაჭრობის წინსვლამ, ევროპის ფეოდალური საზოგადოება რადიკალურად შეცვალა. ეს ცვლილება განსაკუთრებით შეეხო ადამიანს, რადგან სწორედ მან განავითარა საკუთარი შეხედულებები

სამყაროზე, ბუნებაზე და ა.შ. ადამიანის განათლება, გამბედაობა და ნიჭიერება ბევრად უფრო ფასეული და მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე მისი წოდებრივი მდგომარეობა. ადამიანის პირადმა თვისებებმა წინა პლანზე წამოწევა დაიწყო. პროგრესულად მოაზროვნე და სწავლული ადამიანები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანს აქვს უფლისაგან ბოძებული შრომის უნარი, შესაძლებლობა. ღმერთმა მათ თავისუფალი ნება მისცა და ნიჭი იმისა, რომ უყვარდეს, აკეთოს სიკეთე და შეისწავლოს ბუნება მთელი თავისი იდულამებითა და მშვენიერებით. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ყურადღების ეპიცენტრში ადამიანი მოექცა, ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ როგორი ნიჭისა და გონების პატრონი იყო იგი და სწორედ ასეთ, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს ეწოდათ ჰუმანისტები.

ამ პერიოდში გაძლიერდა ისეთი მიმართულება, რომელსაც ჰუმანიზმი ეწოდება. ჰუმანისტებმა იერიში მიიტანეს სქოლასტიკასა და ღვთისმეტყველებაზე. თავისთავად ცხადია, რომ მათი ინტერესი მიმართული იყო ისეთი დისციპლინისაკენ, რომელიც ადამიანსა და მის ბუნებას იკვლევდა. ასკეტურ მორალთან ჰუმანისტების იდეები ვერ თავსდებოდა. ჰუმანისტები ასკეტიზმის მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი და ფარდას ხდიდნენ იმ ამორალურ და მზაკვრულ ქმედებებს, რომელთაც სულიერი მამები ჩადიოდნენ. ჰუმანისტები ბუნების საიდუმლოების ახსნას ცდილობდნენ არა მხოლოდ შუა საუკუნეების მიღწევების შესწავლის ფონზე, არამედ მათი ყურადღება ძველი რომისა და საბერძნეთის ლიტერატურის, კულტურის შესწავლისკენაც იყო მიმართული.

როგორც უკვე აღინიშნა, ჰუმანისტები ყურადღებას ადამიანზე ამახვილებდნენ. მათ იცოდნენ, თუ რამხელა ძალა ჰქონდა განათლებას, როგორც პიროვნებისათვის, ასევე იმ სოციუმისათვის, რომელშიც მათ უწევდათ ცხოვრება. ჰუმანიზმის საფუძველზე ჩამოყალიბდა აღორძინების ესთეტიკური იდეალი, რომელმაც რეალური სამყარო და ადამიანი უმაღლეს ღირებულებებად წარმოადგინა. თავისი განუსაზღვრელი სულიერი და

შემოქმედებითი შესაძლებლობებით, ადამიანმა ჰუმანიზმის ხელოვნებაში მთავარი ადგილი დაიკავა. რენესანსის ეპოქამ განავითარა მსოფლმხედველობა და შესაბამისად, ადამიანის ადგილი და მიზანი სამყაროში ახლებურად წარმოგვიდგინა.

რენესანსის ჰუმანისტები სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც პროგრესულად აზროვნებდნენ, ჩართულნი იყვნენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: პოლიტიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, ლიტერატურული თუ ისტორიული კვლევა და ა.შ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ადამიანებისათვის ნებისმიერი მეცნიერება „ღია“ უნდა ყოფილიყო, რათა ამით ბუნების საიდუმლოებებსა და თავად ადამიანს დაახლოვებოდნენ.

ჰუმანისტები ღმერთს არ უჯანყდებოდნენ, ისინი უბრალოდ მის მიერ შექმნილ სამყაროს ზედმიწევნით შეისწავლიდნენ და ცდილობდნენ, როგორმე ჩაწვდომოდნენ იმ მთავარი ქმნილების არსს, რომელსაც ადამიანი ეწოდება. ჰუმანისტებს სწამდათ, რომ გაუნათლებლობა „სიბნელე“ და ადამიანის ცოდვის ერთადერთი მიზეზი იყო. მათ მტკიცედ სჯეროდათ, რომ ადამიანს განსწავლული და ცრურწმენებისგან განთავისუფლებული გონების მეშვეობით დიდი მომავალი ჰქონდათ და შეეძლოთ მიეღწიათ სანუკვარი ოცნებისათვის. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის ღირსებას არა სიწმინდე, არამედ მისი განუმეორებლობა და განსხვავებულობა წარმოადგენდა.

რენესანსი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო, მისი კვალი ეტყობოდა არამხოლოდ ლიტერატურას, არამედ ხელოვნებას, მეცნიერებას და ა.შ. ლიტერატურაში მწერლები ცხოვრებას აღწერდნენ ისეთად, როგორც სინამდვილეში იყო. მწერლების გარდა, სხვა ხელოვანები, როგორებიც არიან მხატვრები და მოქანდაკეები, ადამიანებს წარმოაჩენდნენ მთელი თავისი ბუნებრივად დამახასიათებელი სილამაზითა და ინდივიდუალიზმით. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, რენესანსმა საფუძველი ჩაუყარა ცივილიზაციის განვითარებას და მთლიანად გადატრიალება მოახდინა ევროპაში იდეოლოგიის კუთხით.

რენესანსმა მსოფლიო რადიკალურად შეცვალა. გარდა ამისა, რენესანსი ჩამოყალიბდა, როგორც ახალი ინტელექტუალური დისციპლინა. ყველაფერი იმ დონეზე განვითარდა, რომ სინათლე და ჩრდილიც კი არ დარჩა შესასწავლი. ყველაზე მთავარი კი ადამიანი იყო, მისი შეხედულებების ცვლილება, განვითარება და ის ტრანსფორმაცია, რომელიც მან განიცადა რენესანსის ეპოქაში. აქ სწორება, ზოგადად, ადამიანზეა აღებული და ჰუმანისტები თვლიან, რომ მთავარი ღირებულება სამყაროში ადამიანია. დიდ შეფასებას აძლევენ ადამიანის გონებრივ შესაძლებლობასა და შრომისმოყვარეობას. რენესანსის ლიტერატურა ხდება უფრო დემოკრატიული. იგი არ იზღუდება და არ დგას მხოლოდ ერთი ფენის სამსახურში. რაინდული იდეალები წარსულში რჩება და რაინდებიც აღარ არიან ძველი დროის გმირების მსგავსი.

მეცნიერების, ფილოსოფიისა და სხვა დარგების განვითარების გარდა, ინგლისის აღორძინება ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავებითაც ხასიათდება. მაშინ, როცა იტალიაში ჰუმანიზმი უკვე ჩამოყალიბებული იყო, ინგლისში იმ დროს პოლიტიკურ-კულტურული გარდატეხა ხდებოდა. მეთოთხმეტე საუკუნემდე ლიტერატურული შედეგები სამ ენაზე იქმნებოდა და სწორედ მეთოთხმეტე საუკუნის შემდგომ განდევნა ინგლისურმა ენამ ფრანგული და ხალხურმა ტრადიციებმა იმპლავრა.

სალიტერატურო ენის ნორმები პირველად ჯეფრი ჩოსერის შემოქმედებაში გამოიკვეთა, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ სამივე ენას კარგად ფლობდა, წერა მაინც ინგლისურ ენაზე არჩია. ინგლისური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების გარდა, ჩოსერს ინგლისური ლექსის რეფორმაშიც მიუძღვის წვლილი. ლიტერატურაში ეს დიდი პროცესები და გარდატეხები, რომელმაც შექსპირი შობა, სწორედ ჩოსერით დაიწყო.

თავი II. ჩოსერის შემოქმედებითი გზა და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაცია

2.1. ფრანგული ლიტერატურის გავლენა ჩოსერის ადრეული პერიოდის შემოქმედებაზე

დიპლომატიური მისიით ჩოსერს მეფე ხშირად აგზავნიდა საფრანგეთსა და იტალიაში. მოგზაურობა სავარაუდოდ, სავაჭრო მოლაპარაკებების საწარმოებლად მიმდინარეობდა, თუმცა ეს დაზუსტებით არაა ცნობილი. ფაქტი კი ერთია, მოგზაურობითა და სხვა ქვეყნების ლიტერატურის გაცნობით, მწერლის ინტელექტუალური არეალი და მსოფლმხედველობა სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა და ეზიარებოდა მისთვის ახალ ლიტერატურულ ტრადიციებს.

1359 წელს ჩოსერი საფრანგეთში ბრძოლის დროს, ფრანგებს ტყვედ ჩაუვარდა. თუმცა ტყვეობა ჩოსერისთვის არც თუ ისეთი ტრაგიკული იყო, რადგან ტყვედ ჩავარდნილი მწერალი კარგად ფლობდა ფრანგულ ენას, გაეცნო როგორც ტრუბადურებისა და ტრუვერების პოეზიას, ასევე ქალაქურ ლიტერატურას.

ჩოსერი შემოქმედების დასაწყისში განიცდის მანამდე გაბატონებული ლიტერატურის გავლენას, ეს არის სარაინდო ლიტერატურა, რომელიც საფრანგეთიდან მომდინარეობს. მისი პირველივე ნაწარმოები არის სარაინდო ლიტერატურის ნიმუში. სავარაუდოდ, ახალგაზრდა ჩოსერი მეფის კარზე ეზიარა რაინდულ წესებსაც და თანამედროვე კულტურასაც, ისმენდა და კითხულობდა ძველ და ახალ მწერლობას, განსაკუთრებით კი მდიდარ ფრანგულ ლიტერატურას. თავისი შემოქმედების ადრეულ წლებში, ჩოსერი ძირითადად იმ დროის ინგლისის მაღალი წრის საზოგადოების გემოვნებაზე იყო მორგებული. მისი შემოქმედება ფრანგულიდან მომდინარე კურტუაზიული ლიტერატურის სტილში ვითარდებოდა. მან მრავალი ბალადა და სიმღერა შექმნა, რომელთა დიდი ნაწილი სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოსულა, ხოლო შემორჩენილ

ერთეულებში კი ნამდვილად შეინიშნება ფრანგ პოეტთა გავლენა. აღნიშნულ მოსაზრებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მის ნაწარმოებებში გმირთა სრულყოფილებით წარმოჩენა შეინიშნებოდა.

მისი პირველი ორიგინალური ნაწარმოები, სახელად „ჰერცოგის მეუღლის წიგნი“ (1369-1370), სწორედ ფრანგული ლიტერატურული სკოლის გავლენას განიცდის და ჯერ კიდევ დასახვეწია. ის ელეგიური ხასიათის, ხილვის ჟანრის პოემაა, სადაც სატრფიალო მოტივი და ალეგორიული ჟანრია გამოყენებული, რაც შუა საუკუნეების ფრანგული ლიტერატურისათვის იყო დამახასიათებელი. ჩოსერი ნაწარმოებს არ ამთავრებს, მას ჩაემძინება და დაესიზმრება, თითქოს დიადი მეფის უმშვენიერესი სასახლის ოთახში გამოეღვიძა. სანადირო საყვირის ხმაზე პოეტი უმალ წამოდგება და მონადირეებს შეუერთდება. ჯადოსნურ ტყეში ნანახი „შავი რაინდი“ თავისი გულის კაემანს გაუმხელს ავტორს. აღწერილი გარემო, ვითარება და გმირები დამახასიათებელია სარაინდო ლიტერატურისთვის და მიგვანიშნებს ჩოსერის სიახლოვეს შუა საუკუნეების ფრანგულ მწერლობასთან.

ნაწარმოების მთავარი გმირი - „შავი რაინდი“ ძალიან მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს, რაინდს ავტორი თქვენობით მიმართავს, რაც საკმაოდ საინტერესოა, ვინაიდან და რადგანაც, შენობითი და თქვენობითი მიმართვა იმ დროისათვის ინგლისურ ენაში არსებობდა. ნაწარმოები ფასეულია მთლიანად ინგლისური ლიტერატურისთვის, რადგან სწორედ რომ აღნიშნული ნაწარმოებიდან იწყება ინგლისური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება. ფრანგული ლიტერატურის გავლენა განსაკუთრებით ემჩნევა „ჰერცოგის მეუღლის წიგნს“, ჩოსერის სტილი ჯერ კიდევ დახვეწას საჭიროებს. ნაწარმოებში წარმოდგენილი სიყვარული თემა, გმირები და რაინდები, სიზმარი, ბედისწერა, ბუნების სურათები, სასახლე, ნადირობის მოტივი და სხვა დეტალები ნათლად უსვამს ხაზს, რომ ჩოსერი აღნიშნულ პერიოდში კარგად იცნობდა იმ დროის გაბატონებულ ლიტერატურულ სტილსა და გემოვნებას, ფლობდა იმ ლიტერატურისთვის დამახასიათებელ

მხატვრულ ხერხებს, რადგან, ნაწარმოები სავსეა ისეთი ელემენტებით, რომლებიც შუა საუკუნეების ფრანგული ლიტერატურისათვის იყო ნიშანდობლივი. ეს ის დეტალებია, რის გარეშეც წარმოუდგენელია სარაინდო რომანი.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩოსერი სამეფო კარის მოხელე და შესაბამისად, მასთან დაახლოებული პირი იყო, ხშირად უწევდა სხვადასხვა დიპლომატიური მისიების შესრულება. ამის გამო, მან ევროპის ბევრს ქვეყანაში იმოგზაურა. მის ელჩობას პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანი ჰქონდა. იმის გარდა, რომ ევროპაში მისი მოგზაურობა საქმიანი ხასიათის იყო, ჩოსერი იტალიაში რენესანსულ მონაპოვარსაც შეეხო.

როგორც ვიცით, ჯეფრი ჩოსერი სასახლის კარზე მთარგმნელის სახელით იყო ცნობილი. მან ფრანგულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნა მეცამეტე საუკუნის ფრანგული პოემა „ვარდის რომანი“. ნაწარმოებს მიაკუთვნებენ გიიომ დე ლორისა და ჟან დე მენს. აქვე უნდა აღინიშნოს ის საინტერესო ფაქტიც, რომ გიიომ დე ლორი რაინდული პოეზიის წარმომადგენელია, ხოლო ჟან დე მენი -ქალაქური პოეზიის. „ვარდის რომანში“ ნათელია ჩოსერის ინტერესი ფრანგული ლიტერატურისადმი, სადაც სარაინდო რომანები დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

2.2. რენესანსული ლიტერატურის ტენდენციები ჩოსერის

შემოქმედებაში

იტალიაში ჩოსერის მოგზაურობა პირველად 1372 წელს შედგა. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც იტალია მთელს ევროპაში კულტურული თუ ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მოწინავე ქვეყანაა. იტალიაში მოგზაურობისას ჩოსერი მისთვის სრულიად ახალ და უცხო, რენესანსულ ლიტერატურას დაეწაფა, სადაც დანტეს, ბოკაჩოსა და პეტრარკას შემოქმედება მწვერვალს აღწევდა. იტალიაში მოგზაურობამ და რენესანსის კულტურასთან ზიარებამ ჩოსერის შემოქმედებაში წარმოშვა ახლებური

სახეები და თემები. ჩოსერი ახლა უკვე რენესანსის ლიტერატურის გავლენის ქვეშ ექცევა და საერთო ჰორიზონტის გაფართოებას მიჰყვება ხელი. არსებობს ვარაუდი იმის შესახებაც, რომ ჩოსერი პეტრარკასა და ბოკაჩოსა და კი შეხვდა.

ჩოსერმა 1377-1378 წლებში კიდევ იმოგზაურა იტალიაში, რის შედეგადაც, კიდევ უფრო დიდი ინტერესი გაუჩნდა იტალიური ლიტერატურისადმი. იგი უშუალოდ შეეხო იტალიური რენესანსის მიღწევებს. სწორედ იტალიური ლიტერატურით მოხიბლულმა პოეტმა გადაწყვიტა ფრანგული მწერლობიდან ყურადღება იტალიურ ლიტერატურაზე გადაეტანა. ჩოსერი გაეცნო რენესანსულ ლიტერატურას და გაიაზრა, რომ ინგლისურ ლიტერატურაში მისი შეტანა და გადანერგვა აუცილებელი იყო.

პოემა „დიდების სახლი“ ჩოსერის პირველი ნაწარმოებია, სადაც იტალიური ლიტერატურის გავლენა შეინიშნება. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მწერლისათვის ეს გარდამავალი ხანაა, ნაწარმოები კი ავტორს დაუმთავრებელი დარჩა. იგი უფრო და უფრო აღიქვამს და შეისწავლის რენესანსულ სიმდიდრესა და მონაპოვარს.

ასევე მნიშვნელოვანია ფილოსოფიური ნაწარმოები „ფრინველთა პარლამენტი“(1377-1382). აღნიშნული პოემა რენესანსული ხასიათის მატარებელია, ვინაიდან და რადგანაც, იგი კომედიური ელემენტებით ხასიათდება, კომედიურობა კი ლიტერატურაში რენესანსთან ერთად შემოვიდა. მასში რიჩარდ მეორის ქორწინებაა გადმოცემული ალეგორიული სახით. „ფრინველთა პარლამენტში“ წარმოდგენილია ფრინველთა დავა და აზრთა სხვადასხვაობა სიყვარულსა და ოჯახზე. მათი ნაწილი რაინდულ გაიდებულ სიყვარულს მიეღობა, ხოლო სხვანი კი ხორციელ სიყვარულს. მასში გადმოცემული იუმორისტული ელემენტები და მოქმედებები აღსაქმელად თითქოს ძალიან მარტივია, თუმცა მათი სისხარტისა და სწრაფი განვითარების გამო, მკითხველს ძალიან დიდი

დაფიქრება მართებს თუ უნდა, რომ ჩაწვდეს ნაწარმოების მთლიან არსსა და ღირებულებას.

ჩოსერის შემოქმედების მეორე პერიოდის ნაწარმოებებში გამოსჭვივის რენესანსის ლიტერატურის ტენდენციები, თემები და პრობლემათა გადაჭრის გზები. სარაინდო ლიტერატურასთან დაშორება და აღორძინების ლიტერატურის გავლენა თვალსაჩინოა განსაკუთრებით „ტროილოსა და ქრესიდაში“ (1372-1384). შეიძლება ითქვას, რომ „ტროილოსი და ქრესიდას“ ინგლისელმა ავტორმა მხატვრული გადმოცემით თავის წინამორბედებს გადააჭარბა, რომელთა რიცხვშიც არიან: გვიდო კოლონა, ბენუა დე სენტ მორი და თვით ბოკაჩოც კი. ახლებურად არის გააზრებული სიყვარულისა და ღალატის თემა. რაც დაუშვებელი იყო სარაინდო ლიტერატურაში, თითქოს გაკიცხვასაც არ იმსახურებს ახლა. სიყვარულის მარადიული ფიცის დადების მიუხედავად, ქრისიდა ტეხს მიჯნურთან დადებულ პირობას. ნაწარმოებში ნათლად ჩანს ბოკაჩოს „ფილოსტრატოს“ გავლენა, თუმცა ჩოსერის ქმნილება უფრო მეტი რეალისტურობით გამოირჩევა და მასში პერსონაჟების ფსიქოლოგია უფრო დამაჯერებლადაა გახსნილი. მასში ასევე იგრძნობა ჩოსერისათვის დამახასიათებელი იუმორი და ირონია. ეს ნაწარმოები გარკვეულწილად შუა საუკუნეების სარაინდო რომანის თვისებებს და მიჯნურობის იმდროინდელი გაგების იდეალებს ინარჩუნებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი გეზი უკვე ახალი რენესანსული ურთიერთობის დამკვიდრებისაკენ არის აღებული. ეს განსაკუთრებით ქრისიდას სახეს ეხება, რომლის გააზრებისასაც ვხვდებით, რომ ჯეფრი ჩოსერი შუასაუკუნეობრივი მორალის ნორმებს შორდება და პერსონაჟის ფსიქოლოგიას ხსნის არა სარაინდო კულტურის ნორმებით დაცვით, რომელთა მიხედვითაც სიყვარული და ერთგულება მკაცრად უნდა იყოს დაცული, განსაკუთრებით კი ქალის მიერ, არამედ ადამიანის ბუნების მიდრეკილებათა და ვნებათა შესაბამისად, რაც ასევე ჩოსერის რენესანსული მსოფლმხედველობის ტრანსფორმაციაზე მეტყველებს. ავტორი, რა თქმა უნდა, იაზრებს და ასევე

თანაუგრძნობს ტროილოსის განცდას, საყვარელი ქალისაგან მიყენებულ გულსტკივილს, მაგრამ მიაჩნია, რომ ქრისიდას ღალატი ცხოვრებისეული აუცილებლობისა და გარდაუვალობის შედეგია და რომ ყველა ქმედების უკან არის რაღაც ადამიანური მიზეზი თუ მოტივი. ავტორი ქრისიდას სისუსტეებს ამჩნევს, მაგრამ რაღაც დონეზე მისი ქმედებების გასასამართლებელ მოტივებსაც პოულობს. ქრისიდას სახე თავისი უშუალოებითა და ბუნებრივობით აღორძინების ეპოქის პერსონაჟი ქალების ტიპს მოგვაგონებს. პოეტი ტრადიციულ დოგმატებს სცილდება და ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას სთავაზობს მკითხველს.

ჩოსერი თავის პოემებზე მუშაობის დაწყებისთანავე შუასაუკუნეობრივ ნორმებს, რაინდულ და ალეგორიულ-დიდაქტიკურ ჟანრებს შორდება. ხოლო მათში მთავარ როლს ფაბლიოსებური იუმორი და რეალიზმისაკენ სწრაფვა ითვისებს. „ტროილოსისა და ქრისიდას“ ტრაგედიაშიც კი მან შეყვარებულთა შუამავლის, პანდარუსის რეალისტური კომიკური სახე შექმნა. მწერალი, რომელიც რაინდულ პოეზიაზე იყო გაზრდილი, რაინდული თავგადასავლებიც კი აღარ იტაცებს. სხვათა შორის, „კენტერბერიულ მოთხრობებში“ სერ თოპასის კომიკური თავგადასავალი რაინდობის პაროდიაა. პოეტს არამიწიერი სიყვარულის განდიდება, ქრისტიანული ასკეტიზმი, დიდაქტიზმი და მორალიზაცია უკვე აღარ ხიბლავს. ცხოვრება, სინამდვილე მთელი სიცხადით, თავისი ავითა და კარგით არ ასვენებს მის პოეტურ წარმოსახვას.

ჩოსერის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი „კენტერბერიულ მოთხრობებში“, მოცემულია მათი მხატვრული სინთეზი, ახლებური გააზრება. ჩოსერი უკან იტოვებს ლენგლენდის მძიმე ალეგორიზმსა და სქემატიზმს, რაინდული პოეზიის ფანტასტიურობას, პირობითობასა და მონოტონურობას, მწიგნობრობასა და მოსაბეზრებელ შეზღუდულ მორალიზაციას. ჩოსერი ხალხური, ჯანსაღი, მიწიერი, ცხოვრებისეული პოეზიის, სიმღერების, თქმულებების, მოარული ამბებისა და სხვათა ზეგავლენის მეშვეობით ახალ ლიტერატურას ქმნის, რომელიც

რეალისტურობისაკენ, აღორძინების იდეალებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვითაა განპირობებული. ისინი სიცოცხლის სიყვარულითა და ადამიანურობის გამარჯვების რწმენით არიან აღსავსენი. სწორედ ამიტომაც „კენტერბერიული მოთხრობები“ ინგლისური კლასიკური პოეზიის ერთ-ერთ შედეგად მიჩნეული.

ჩოსერს დაუმთავრებელი დარჩა პოემა „ლეგენდა კარგ ქალებზე“. ქრესიდას ღალატის წარმოჩენის შედეგად, ავტორს თითქოს დანაშაულის გამოსყიდვა და მანდილოსნების გულის მოგება უნდოდა, რის გამოც მან კრებულის - „ლეგენდა კარგ ქალებზე“ - წერა დაიწყო. ქრესიდასგან განსხვავებით, რომელიც მოღალატე იყო, ავტორს განზრახული ჰქონდა, რომ დაეწერა ლეგენდები ისეთ ქალებზე, რომელთაც სიყვარულს თავი ერთგულად შესწირეს. ნაწარმოები ოცი ლეგენდისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, სადაც მთავარ პერსონაჟებად მასში ძირითადად ისტორიული ქალები უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. რამდენიმე ლეგენდა მწერალმა დაასრულა, თუმცა ჩოსერი, რომელიც რაინდულ პოეზიაზე იყო აღზრდილი, აღარ იტაცებდა რაინდული თავგადასავლები, რაინდული სიყვარული და ა.შ. სწორედ ამიტომაც დარჩა იგი დასასრულებელი.

თავი III. სარაინდო ლიტერატურის ტრადიციების რენესანსული ინტერპრეტაცია „კენტერბერიულ მოთხრობებში“

3.1 რაინდთა სახეები

ამ ქვეთავში გვსურს გამოვკვეთოთ რაინდის სახე და კონკრეტულად მისი ვიზუალური მხარე. შევისწავლოთ ჩოსერის რაინდები ამ კუთხით და შევუპირისპიროთ XII საუკუნის რომანების პერსონაჟებს. რაინდის სამოსი, აღჭურვილობა, ასევე ცხენის აღკაზმულობა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გმირის ცხოვრებაში.

რაინდთა შორის უპირველესი, რა თქმა უნდა, არტურ მეფე იყო. მის შესახებ თქმულებები იქცა სარაინდო ლიტერატურის ნოყიერ საზრდოდ. ხშირ შემთხვევაში არა თავად არტური, არამედ მასთან დაკავშირებული მრგვალი მაგიდის რაინდები ხდებოდნენ მთავარი პერსონაჟები. მისი სასახლე კამელოტი კი იმ სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა, რომელსაც საოცარი მიზიდულობის ძალა ქონდა და საითაც მისწრაფოდნენ ყმაწვილი კაცები, რათა ის აღზრდა-განათლება და საბრძოლო გამოცდილება მიეღოთ, რაც მათ სანუკვარ ოცნებას - რაინდად კურთხევას - რეალობად აქცევდა.

საკარო ლიტერატურის შემოქმედნი რაინდთა აღწერილობისას ჯერ მათ საჭურველ-იარაღზე ამახვილებენ ყურადღებას. მათ გარეშე წარმოუდგენელი იყო რაინდული თავგადასავლები, ტურნირები, ორთაბრძოლები თუ ნადირობა. კრეტიენ დე ტრუა ასე აცნობს გმირ ლანსელოტს მკითხველს: მას აბჯარი ეცვა, ეხურა მოხდენილი მუზარადი, წელზე მახვილი ქონდა შებმული, მკერდთან კი ფარი მოემარჯვებინა. მწერალი ამგვარ სიტყვაძუნწობას არ იჩენს ერეკის აღწერისას. რომანის დასაწყისში ის უკვე მრგვალი მაგიდის სახელმძღვანელო რაინდია, რომლის ვაჟკაცობაზე საარაკო ამბები ყველას პირზე აკერია. ძნელად მოიძებნება მასავით პირმშვენიერი და ახალგაზრდა ყმაწვილი ასეთ პატივსა და დიდებას რომ იმსახურებდეს. ერეკს ვეცნობით მეფე არტურის, მისი სახელმძღვანელო რაინდებისა და დიდებული ბანოვანების საზოგადოებაში სანადიროდ მიმავალს. შეიარაღებიდან მას მხოლოდ მახვილი აქვს, თუმცა

მის აღწერილობას შესანიშნავად ავსებს ყარყუმის ტყავის მოსასხამი, მდიდრული აბრეშუმის ქულაჯა, საუცხოო ფარჩის გამაშები, ჯიშიანი ცხენი და მოოქროვილი დეზები.

საბრძოლველად გამზადებული ივეინი კარგად არის შეჯავშნილ-შეიარაღებული, რაშიც ბრწყინვალე ყავს. მის დახასიათებაში ერთი ფრაზა იმდენად მრავლისმეტყველია, რომ დე ტრუა ბევრს აღარ ირჯება გმირის დაწვრილებით აღწერისთვის - ცხენი ამაყობდა თავისი მხედრითო, გვამცნობს პოეტი. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ივეინი დიდად პატივსაცემი და სწორუპოვარი რაინდი იყო, რაც საყოველთაოდ იყო აღიარებული.

რაინდებთან პირველმა შეხვედრამ, მათმა გარეგნობამ და აღჭურვილობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყმაწვილ პერსევალზე. მყისვე მოაჯადოვა მათმა ჯავშანმა, შუბებმა და მახვილებმა, რომლებიც მზის შუქზე ბრწყინავდა. ეს სანახაობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ პერსევალს მყისვე სურვილი აღუძრა, თვითონაც რაინდი გამხდარიყო.

რაინდთა ჩაცმულობა, აღკაზმულობა, იარაღი და რაში იყო მათი სტატუსისა და მდგომარეობის განმსაზღვრელი. ერთი შეხედვით შეიძლებოდა მიხვედრა, თუ რა გამოცდილების იყო რაინდი და რა მდგომარეობა ეჭირა სიუზერენის კარზე.

რაინდული ყოფა-ცხოვრების რეალიებს ჩოსერი ბავშვობის ასაკიდან გაეცნო, როცა იგი მამის მცდელობით ინგლისის სამეფო კარზე პაჟად გაამწესეს. არისტოკრატთა კარზე პაჟის საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. ჩოსერს პაჟის ამპლუაში ევალეობოდა წვრილმანი დავალებები, დაჰქონდა წერილები, დიდგვაროვნებს ართობდა წიგნებისა და ლექსების კითხვით. სწორედ ამ ყველაფერზე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ იგი კარგი მწიგნობარი და წერა-კითხვის მცოდნე უნდა ყოფილიყო. როცა მოიზარდა, პაჟობის ასაკიდან გამოსული ახლა უკვე სკვაირის ფუნქციებს ასრულებდა. ოფიციალური დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ჩოსერი ჰერცოგ ლაიონელს საფრანგეთში სალამქროდ გაჰყოლია, სადაც იგი ტყვედ ჩავარდნილა. ცნობილია, რომ მეფემ, ჯეფრი ჩოსერის,

ჰერცოგ ლაიონელის სკვადრის ტყვეობიდან დასახსნელად 1360 წლის 1 მარტს 16 გირვანქა სტერლინგი გაიღო. აქედან საგულისხმო ისაა, რომ ჩოსერი თავად ყოფილა სკვადრი, რაც დაახლოებით ისეთივე თანამდებობაა, როგორც პაჟი. ჩოსერის, როგორც სკვადრის მოვალეობაში შედიოდა ბრძოლებში საჭურველმტვირთავის მოვალეობის შესრულება. შეიძლება ითქვას, რომ ჩოსერმა რაინდული აღზრდა მიიღო და მთელი ცხოვრება ინგლისის სასახლის კარზე რაინდთა გარემოცვაში გაატარა. ასევე მან ორჯერ მიიღო მონაწილეობა ლაშქრობაში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რაინდთა ცხოვრების დეტალები კარგად იყო ჩოსერისთვის ცნობილი, რაც მის შემოქმედებაში შესანიშნავად აისახა.

„კენტერბერიული მოთხრობები“ ჩოსერის გენიალურ ნაწარმოებს წარმოადგენს, რადგან მისი მთლიანი ლიტერატურული მოღვაწეობა მასშია შეჯამებული. ამ პერიოდში იგი უკვე ჩამოყალიბებული ხელოვანის სახით გვევლინება, რომელიც თავის ნაწარმოებში ალეგორიული მნიშვნელობით ინგლისის სინამდვილეს გვიხატავს. ავტორის სარკაზმი და ირონია ნათლად წარმოაჩენს იმ ეპოქის ინგლისის ყოფა-ცხოვრებას მთელი თავისი მანკიერებებით.

„კენტერბერიულ მოთხრობებში“ ჯეფრი ჩოსერი გვიხატავს ინგლისის იმ ატმოსფეროს, რომლის მომსწრეც ის იყო. ნოველების კრებულიდან ზოგიერთი ეპიზოდი იდეური თვალსაზრისით ლენგლენდის „პეტრე მხვენელის ხილვას“ უკავშირდება. თუმცა სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ლენგლენდს ზეციური ძალების იმედად სურს სამართლიანობის აღდგენა, ხოლო ჩოსერს კი სჯერა ადამიანის შესაძლებლობების, მისი ძალების და სწორედ ამას გვიხატავს თავის „კენტერბერიულ მოთხრობებში“. ნაწარმოები თავისი თემატიკითა და გალექსვით (იგულისხმება პოეტური ფორმა) ნამდვილად ჰგავს შუასაუკუნეობრივ ლიტერატურის, რაც შეეხება მასში არსებულ რეალისტური მომენტების ნაკადს, ირონიასა და სოციალური სინამდვილის ასახვას, იგი ნამდვილად აღორძინების ეპოქას უკავშირდება.

„კენტერბერიული მოთხრობები“ ბოკაჩოს „დეკამერონის“ მსგავსად, ლექსად დაწერილ ნოველების კრებულს წარმოადგენს, რომელიც 800 სტრიქონიანი პროლოგისაგან შედგება. პროლოგი დამოუკიდებელი ნაწარმოებია და მასში ავტორი ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან წარმოგვიდგენს გმირებს. ჩოსერის თავდაპირველი მიზნები ნოველებზე მუშაობისას სხვაგვარი იყო. კერძოდ, მას სურდა შეექმნა ასოცზე მეტი ნოველა, თუმცა ვერ დასცალდა გარდაცვალების გამო. საბოლოოდ, ნაწარმოები 24 ნოველას შეიცავს, მათ შორის ორი დაუსრულებელია, ორიც კი პროზაული ფორმით არის დაწერილი.

პროლოგში ჩოსერი გვიამბობს, რომ ინგლისის სხვადასხვა კუთხიდან „პრილის თვეში ადამიანები წმინდა თომა ბეკეტის საფლავისკენ, კენტერბერიისაკენ მიემართებიან მოსალოცად. ამ გზის გასავლელად ცხენზე ამხედრებულ ადამიანს ერთი დღე მაინც სჭიდებოდა, თანაც მგზავრობა არც თუ ისე უსაფრთხო იყო ვერაგი მძარცველების გადამკიდე. სავალალო ინციდენტების თავიდან ასაცილებლად მომლოცველები ღამეს სასტუმროში ათევდნენ და მეორე დღეს განაგრძობდნენ ხოლმე გზას.

ჰარი ბეილის სასტუმროში ოცდაცხრა პილიგრიმი შეიკრიბა, რომლებიც საერთო მიზანმა გააერთიანა და საკმაოდ მყუდრო გარემოში ძალიან მალეც მოშინაურდნენ. სწორედ აღნიშნული მომლოცველების აღწერას აქვს დათმობილი პროლოგი. აქ მხოლოდ არისტოკრატებსა და უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირებს ვერ ვხვდებით. სულ რამდენიმე წინადადების მეშვეობით ჩოსერს იმდენად ოსტატურად ჰყავს თითოეული პილიგრიმი დახასიათებული, რომ მარტივად გვექმნება წარმოდგენა მათზე და მათ შინაგან სამყაროზე.

ნაწარმოების პერსონაჟია თავად ავტორიც, რომელიც ოცდაცხრა კაცისაგან შემდგარ პილიგრიმების ჯგუფს იგი ლონდონის მახლობლად, ჰარი ბეილის ფუნდუკში შეხვდება, სწორედ ასე გადაიკვეთება მათი გზა კენტერბერიისაკენ. ავტორი აღწერს პილიგრიმებს, სხვადასხვა სოციალური ფენისა და პროფესიის ადამიანებს ერთად მიმავალთ. მათ საერთო მიზანი

აკავშირებთ და გზადაგზა თავშესაქცევად ამბებს ყვებიან, სწორედ მათი ისტორიებიდან გამომდინარე ექმნება მკითხველს გარკვეული წარმოდგენა ამ თუ იმ პილიგრიმზე. ხანგრძლივი და დამღლევი მოგზაურობის შედეგად, ზოგიერთი მომლოცველი დამეგობრდება, ზოგიც კი პირიქით, ერთმანეთს ვერ ეწყობა და ყოველივე ეს, პოლემიკასა და ჩხუბში გადადის. ზოგ შემთხვევაში მომლოცველი ქალების მიმართ სხვა პილიგრიმებს მეგობრულ გრძნობაზე მეტი უჩნდებათ და ა.შ.

სამაგისტრო ნაშრომში განხილული იქნება შემდეგი მოთხრობები და რაინდი პერსონაჟები:

1. რაინდი და სკვაირი, მამა-შვილი, რომელნიც მომლოცველთა შორის არიან და თავად ყვებიან ამბებს;
2. რაინდის ამბავი - რაინდები: თეზევსი, არსიტი, პალამონი, ლიკურგე, ემეტროსი;
3. ჩოსერის ამბავი სერ თოპასის შესახებ - რაინდი სერ თოპასი;
4. ექიმის ამბავი - რაინდი ვირგინიუსი;
5. ბათელი ქალის ამბავი - რაინდი უსახელო;
6. ვაჭრის ამბავი - რაინდი იანუარი;
7. ვასალის ამბავი - რაინდი არვერაგუსი და პაჟი ავრელიუსი;
8. მნის ამბავი - რაინდი ფებუსი.

„კენტერბერიული მოთხრობების“ პროლოგში, როგორც უკვე აღინიშნა, ჩოსერი პილიგრიმების დახასიათებას იძლევა. ზოგს ვრცლად აღწერს, ზოგს - რამდენიმე სიტყვით. საზოგადოების წარმომადგენელთა პალიტრა მრავალფეროვანია და მწერლის დროინდელ ინგლისს სრულად შეეფერება. სასულიერო პირების, ვაჭრის, ვეჟილის, სტუდენტის, მეზღვაურის, მზარეულის და სხვათა გვერდით ვხვდებით რაინდისა და სკვაირის პერსონაჟებს.

პილიგრიმთა დახასიათებას ჩოსერი რაინდით იწყებს, რომელსაც მთელი თავისი ფათერაკებისა და თავგადასავლების პერიოდში, რაინდული

ღირსება არც ერთი წამით შეურცხვენია. თხუთმეტ ბრძოლასა და სამ ტურნირში მოპოვებული უზადლო გამარჯვების შემდეგ, იგი თომა ბეკეტის საფლავისაკენ მიემართება. ჩოსერი რაინდს ჭეშმარიტად ღირსეულ ადამიანად მოიხსენიებს, რომელსაც რაინდობა სიყრმიდანვე ჰქონდა შეთვისებული. რაინდი თვინიერი ხასიათითა და ქალწულებრივი რიდით გამოირჩეოდა. ამასთან ერთად იყო სათნო, სულგრძელი და ზრდილი. რაც შეეხება მის ჩაცმულობას, ტანზე ტყაპუჭი ეცვა, ზემოდან კი ჯაჭვი ემოსა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ტანისამოსი და აღკაზმულობა ბრწყინვალეობას იყო მოკლებული. აი, რაც შეეხება ცხენს, იგი რაინდს ნამდვილად კარგი ჰყავდა, „მისი საკადრი“.

რაინდს თან ახალგაზრდა, დაახლოებით ოცი წლის შავ ხუჭუჭთმიანი სკვირი ახლდა. იგი მაღალი იყო, მამაზე ტანადი და საკმაოდ მკვირცხლიც. პროლოგში ჩანს, რომ სკვირს სისუფთავე ძალზედ უყვარდა, ძალიან სუფთად და კოხტად ეცვა. თავისი ტკბილი ხმით იგი სულ მღეროდა, ცეკვავდა და არაჩვეულებრივად წერდა. ახალგაზრდა სკვირი საკმაოდ გამგონეც გახლდათ, რომელსაც ყველაფერზე ადვილად დაასაქმებდნენ. ზემოთქმულის ფონზე, მარტივად შეგვიძლია დავასკვნათ ავტორის დამოკიდებულება აღნიშნულ პერსონაჟების მიმართ. ჩოსერი დადებითად ახასიათებს რაინდსა და სკვირს და შესაბამისად, მკითხველის ყურადღებასაც იპყრობს დადებით კონტექსტში.

საგულისხმოა, რომ ჯეფრი ჩოსერი ამდენ პილიგრიმს შორის სიტყვას პირველად რაინდს აძლევს. რაინდი თავის ამბავს იწყებს ათენში მცხოვრები გმირი თეზევსის ისტორიით. იგი აღწერს მას შემდეგნაირად, რომ მისნაირი ქველი არავინ იყო და გამოირჩეოდა სიბრძნითა და ნამდვილი გმრობით:

„თეზევსი ერქვა მას სახელად, ქველი მისებრი

არ იყო მეფე, არცა კაცი დარბაისელი.

უხვად განავრცო სამფლობელოს თვისის საზღვარნი,

ამრავლა მიწა და მიწაზე კაცნიაზნანნი“ (ჩოსერი 1977: 50).

თეზესმა ცოლად დედოფალი იპოლიტა შერთო, „სკვითი ქალწული იყო ვითა მთვარე პირსავსე“ (ჩოსერი 1977: 50).

რაინდის მიერ მოთხოვნილ ამბავში ასევე ვხვდებით ორ ყმას, დეიდაშვილებს - პალამონსა და არსიტს - დიდებულ და გვაროვან ყმაწვილებს. ორივე მათგანს მოვერცხლილი ზუჩი ეხურა და ჯაჭვ-თორით იყვნენ მეფურად შემოსილნი,

„ორივე მათგანს მოვერცხლილი ზუჩი ეხურა

და ჯაჭვ-თორითაც მოსილიყვნენ ორნივე მეფურად.

ერთი მათგანი ვერცხლის ზუჩით იცნეს არსიტად,

ხოლო მეორე პალამონად, ხმლით და ჯაჭვითაც“ (ჩოსერი 1977: 54).

ვიზუალურ მხარეს თუ გავითვალისწინებთ, ისინი ნამდვილად მოგვაგონებენ კლასიკურ რაინდებს, თუმცა საკითხავია, შემორჩათ თუ არა რაინდისთვის საკადრისი ქმედებები?

არსიტისა და პალამონის ორთაბრძოლის ნაწილში ვხვდებით თრაკიის საამაყო გმირს - ლიკურგეს. შავი წარბი და წვერ-ულვაში ჰქონდა ლიკურგეს, ვეება ტანი და შხვართი მკლავები. ჯაჭვის პერანგზე დათვის ტყავი ჰქონდა მოსხმული, ზურგზე შავი თმა ეყარა. თავს კი აღმასისა და ლალის მძივებით მოოჭვილი გვირგვინი უმშვენებდა და იდგა თავის ორთვალა ეტლთან,

„შხვართი მკლავები გარს იკრებენ ქარს მათრახივით,

დაიქნევს მკლავს და ქარი წივის და მართლა ყვირის,

ორთვალა ეტლზე დგას მდიდარი და უუხვესი,

ერთად უბია ოთხი თეთრი ხარი უდელში“ (ჩოსერი 1977: 86).

ასევე ვეცნობით ჰინდოთ მეფეს, დაახლოებით ოცდახუთი წლის ემეტრიოსს, რომლის ცხენსაც ნაქარგი ხალიჩა უმშვენებდა გულმკერდს, რაც მას სხვა ცხენებისაგან გამოარჩევდა სილამაზითა და სიმაღლით. თავად მეფეს კი ტანზე თარსის აბრეშუმის გრძელი მანტია ემოსა და გულზე მარგალიტები ჰქონდა მიმოხნეული. ტახტრევანი ბაჯალლო ოქროთი იყო შემკული, ხოლო გიშრისფერი თმა კი ოქროს სალტეთი ჰქონდა შეკრული.

ემეტრიოსს მოყვითალო თვალები, მაღალი ცხვირი, ვარდისმაგვანი სახე და ლალისებრი ტუჩები ჰქონდა. მეფეს მარჯვენა ცერზე კი არწივი ჰყავდა შემოსმული,

„სიტყვა ჯერ ხორხში ებურთება და იგვიანებს,

მერე მოსკდება და იცლება მეხის გრიალით.

დაფნის გვირგვინი შემოუდგამს თავზე ლამაზად,

მისი სურნელი ათრობს ალბათ მთელს ამაღასაც“ (ჩოსერი 1977: 87).

„მეზღვურის ამბის“ შემდეგ იწყება ჩოსერის ამბავი სერ თოპასის შესახებ. ნოველის მთავარი გმირი რაინდი სერ თოპასია. ცხოვრებაში ჯირითისა და ტურნირების მეტი მან არაფერი იცოდა. ჯირითი და ბრძოლა რაინდთა ცხოვრების თანმდევი ფენომენია და შესაბამისად, ამ მხრივაც ისინი გაწაფულნი უნდა ყოფილიყვნენ. სერ თოპასი კარგი ყმაწვილი იყო, „ისე დამშვენდა, ვითარცა ვარდმა ვარდობის თვეში იცის“ (ჩოსერი 1977: 132). თეთრი შუბლი და ღაწვი ჰქონდა, ხოლო ნუშისმაგვარ თვალებთან ერთად ძლიერი მკლავი და შოლტივით ტანი. ძალიან ამშვენებდა ბრიუგეს შარვალი და მაქმანიანი წვივსაკრავი კორდოვულ წაღასთან. თავისი რაშით იგი მთაში ირმებს დასდევდა. რაინდს ბევრი ქალწულიც ეტრფოდა, ხოლო „ვაჟს კი მოსწონდა რიდი და კრძალვა“ (ჩოსერი 1977: 133). მის მშვენებასთან ერთად სერ თოპასი თავისი გონებით, ჭკუითა და შეუპოვრობით ყველას ჩრდილავდა:

„და იმ ეკლიან ბუჩქს ჰგავდა ალბათ,

ნაყოფიც რომ აქვს ტკბილი“ (ჩოსერი 1977: 133).

ჯადოქარ მეტოქესთან შებმისთვის თოპასი კარგად მოემზადა:

„ჯერ გადაიცვა ტილო და ნარმა

და მერე ძებნა დაუწყო შარვალს

თოვლივით თეთრი ფერის,

ჯაჭვის პერანგიც მოირგო კარგად,

ბრძოლაში სწორედ თორანი ვარგა,-

ვერას დაგაკლებს მტერი“ (ჩოსერი 1977: 136).

თავზე ტახის ეშვებით შემკული ზუჭი დაიხურა, მისი სპილოს ძვლის ქარქაში იმდენად ბზინავდა, რომ ნამდვილად ღირდა სანახავად. ხელში კვიპაროზის შუბი ეჭირა, ხოლო

„პალდუმის მერე მანტიის ნაცვლად,
მაინცდამაინც თეთრ კამზოლს დაწვდა
თეთრი უყვარდა მართლად“ (ჩოსერი 1977: 136).

აქაც ვხვდებით, რომ თავისი თვისებებითა და შესაძლებლობებით, განსაკუთრებით კი მისი სამოსითა და აღჭურვილობით, სერ თოპასი ტიპიურ რაინდს ნამდვილად ჰგავს. ის ფაქტი, თუ როგორ ემზადება მტერთან საბრძოლველად, ნამდვილად გვახსენებს ძველი რაინდის ქმედებას. კულმინაციურ მომენტამდე მკითხველი ვერ მიდის, რადგანაც ნოველა დაუსრულებელია, ჰარი ბეილი ჩოსერს სიტყვას აწყვეტინებს, რის ფონზეც ვერ ვიგებთ, თუ როგორ დასრულდა დევსა და სერ თოპასს შორის სასიკვდილო ბრძოლა,

„ჯვარო წმინდაო!.. მოვკვდი კაცი, გეყოფა, კმარა,-
დაიღრიალა მეფუნდუკემ.- არა და არა,
არ შემიძლია, გენაცვალე, მეტის მოსმენა,

-ხედავთ, თავი რომ გაუტოლა ურცხვად მგოსნებსაც!“ (ჩოსერი 1977: 138).

„ექიმის მიერ მოყოლილ“ ამბავში ნახსენებია ერთი მდიდრული სასახლისა და მამულების მფლობელი რაინდი, სახელად ვირგინიუსი. გარშემო არ აკლდა მას არც მტერი და არც მოყვარე:

„თურმე ოდესღაც მამულებს და სასახლეს მდიდრულს
ფლობდა რაინდი ვირგინიუს, ღირსებით სავსე,
და მტერ-მოყვარე ფუტკარივით ეხვია თავზე“ (ჩოსერი 1977: 172).

ვირგინიუსს ბედმა მხოლოდ ერთი ქალიშვილი არგუნა, რომელიც საოცარი სილამაზით გამოირჩეოდა, თითქოს, დედაბუნებამ იგი საკუთარი ხელებით გამოძერწა:

„ქალი დამშვენდა, გაივსო და გახდა უზადო.

ულამაზესად მიიჩნევდით თქვენც უსათუოდ,
რამეთუ თვითონ სრულყოფილი დედაბუნება
მოწყალე თვალთ თითქოს მხოლოდ მას უყურებდა,
თითქოს ამბობდა იგი: „თუკი მომესურვება,
დაატკბოს კაცი მაშინ ჩემთა ძუძუთ სურნელმა“ (ჩოსერი 1977: 172).

პილიგრიმებს შორის ბათელი ქალი იყო, რომელიც საკმაოდ
საინტერესო ამბავს ყვება მეფე არტურის სასახლის კარის რაინდზე. რაინდი
ჯერ ახალგაზრდა იყო, „ჯერ ყრმა-ჭაბუკი, მკვირცხლი, მარჯვე და
მუყაითი“ (ჩოსერი 1977: 210). რაინდის სახელი უცნობია, არც მის
ვიზუალურ მხარეზე ვიცით ბევრი რამ. თუმცა, რადგან იგი მეფე არტურის
სასახლის რაინდი იყო, აუცილებლად იქნებოდა დაჯილდოვებული ყველა
იმ თვისებით, რაც კლასიკურ რაინდს მოეთხოვებოდა. სხვა სიტყვებით, რომ
ვთქვათ, რაინდის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა. მაგრამ აქვე ისიც უნდა
აღინიშნოს, რომ მხოლოდ კარგი ვიზუალი და რამდენიმე დადებითი
თვისება არაა საკმარისი იმისათვის, რომ ღირსეულად ატარო და
შეინარჩუნო რაინდის სახელი.

სტუდენტის ამბის შემდეგ სიტყვას ვაჭარი იღებს, რომელიც ყვება
ისტორიას რაინდზე, სახელად იანუარზე. მის ვიზუალზე ბევრი
ინფორმაცია არ გვაქვს, მხოლოდ ის ვიცით, რომ იანუარი სამოცი წლის
იყო, რომელსაც ცოლად ახალგაზრდა და მშვენიერი ქალი ჰყავდა.
ხანდაზმულ რაინდს ცოლი მისივე პაჟთან დალატობდა მაშინ, როცა
იანუარი თავდავიწყებით იყო შეყვარებული და ცოლს ეთაყვანებოდა.

„ვასალი ამბავს“ ჰყვება რაინდზე, რომელსაც პერმარკთან დიდებული
მამული ჰქონდა, „სახელი მისი არვერაგუს - ფიცხი და ცხარი კაირუდიდან
მოდიოდა იმისი გვარი“ (ჩოსერი 1977: 252). იგი უმამაცესი რაინდი იყო,
რომლის ბრძოლებს, საგმირო საქმეებსა და ტრფობას უმშვენიერესმა
დორიგენემ გვერდი ვერ აუარა. აქ ვხედავთ, რომ გარეგნულად არვერაგუსი
ნამდვილად ჰგავს ძველ რაინდებს. მოთხრობაში რაინდის გარდა,
ვხვდებით ერთ პაჟს, ავრელიუსს, რომელიც სხვებთან შედარებით,

გაცილებით უფრო ღირსეული და ლამაზი იყო. მშვენიერ სამოსში გამოწყობილ პაჟს თვალს ვერ წყვეტდნენ:

„თვალს ვერ მოწყვეტდით წრეში იმის სრიალს და რონინს

და არც ლექსში და სიმღერში არ ჰყავდა ტოლი,

იყო მხნე, ლაღი, ჭკვიანი და მდიდარიც ერთობ,

ამ ქვეყნად თითქოს ღვთის წყალობა მხოლოდ მას ერგო“ (ჩოსერი 1977: 254).

ძველ რაინდებს ხომ ლექსის თხზვა და სიმღერაც მოეთხოვებოდათ. ავრელიუსი ამ მხრივაც თანხვედრაშია საუკუნეების წინ დადგენილ სტანდარტთან.

საკმაოდ საინტერესოა „მნის ამბავი“ ყვავის შესახებ, სადაც ვხვდებით მხიარულ, მშვენიერ და ყოვლის მძლეველ რაინდს, სახელად ფებუსს. ფებუსს თურმე თავისი ისრით პითონიც კი განუგმირავს. მას საოცრად ტკბილი ხმა ჰქონდა და სილამაზეშიც არ ჰყავდა ბადალი, „მზედ ხმობდნენ მას და მართლაც იყო მისი სადარი“ (ჩოსერი 1977: 321). ამ ყველაფერთან ერთად, ფებუსი სიბრძნითაც გამოირჩეოდა და მისნაირი ალალი და გულკეთილი არავინ ყოფილა. ასპიტის დამარცხების ნიშნად იგი ოქროს მშვილდ-ისარს ატარებდა, რომელსაც საკმეველის სუნი ჰქონდა და „შორს მიფრინავდა და აღწევდა მიზანს იოლად“ (ჩოსერი 1977: 321). თურმე ფებუსს ყვავი ჰყოლია, მისი გალია დარბაზში, სარკმელთან იდგა. ფრინველი ძალიან ჰყვარებია ფებუსს, რომელიც სხვა ყვავებს არ ჰგავდა:

„იმ ხანად ყვავი ფრიად თეთრი გახლდათ ფრინველი

და მგალობელთა სირთა შორის იყო პირველი.

ფებუსი ფრინველს ასწავლიდა კაცის ენასაც

და მალე თხრობის უნარით და ნიჭით შერაცხა“ (ჩოსერი 1977: 321).

ფებუსის აღჭურვილობითა და სიმამაცით თუ ვიმსჯელებთ, იგი ნამდვილად ძველ, კლასიკურ რაინდს მოგვაგონებს.

ძველ და ახალ რაინდთა პორტრეტების შეპირისპირებით ირკვევა, რომ ჩოსერის დროსაც შენარჩუნებულია ორი საუკუნით ადრე

ჩამოყალიბებული წარმოდგენები. რაინდი ახოვანი, წარმოსადეგი, მთელი რიგი ღირსებებით შემკული ადამიანია. გარეგნული მხარე ნათლად მეტყველებს საზოგადოებაში მის გამორჩეულ მდგომარეობაზე. თავადაც აცნობიერებს საკუთარ როლსა და ადგილს, გრძნობს გარშემომყოფთა კეთილგანწყობასა და პატივისცემას. აშკარაა ჩოსერის სიმპათია რაინდთა ფენის მიმართ. წიგნში, რომელსაც 120 ნოველა უნდა გაეერთიანებინა, პირველი ნოველა რაინდს ეკუთვნის. შემთხვევით არ არის, რომ ოცდაათი პილიგრიმიდან ამბის თხრობას რაინდი იწყებს. ჩოსერის რაინდები ვიზუალური კუთხით, ჩაცმულობით, თუნდაც ცხენის აღკაზმულობით, ნამდვილად ჰგვანან ტიპიურ რაინდებს. თითქოს 200 წელი არც გასულა...

საინტერესო კი სწორედ ისაა, რომ მათი ქმედებები, ცხოვრებისეული გადაწყვეტილებები და არჩევანი ნამდვილად არ ჰგავს კლასიკური რაინდის მიერ მიღებულს.

3.2. რაინდული კოდექსი

მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა ჩოსერის გმირების ვიზუალური მსგავსება კლასიკური სარაინდო ლიტერატურის პერსონაჟებთან, დროა განვიხილოთ, თუ რამდენად შეუპოვარი დამცველები არიან ისინი რაინდთა კოდექსის. წინამდებარე ქვეთავში შესწავლილი იქნება ჩოსერის რაინდთა შინაგანი სამყარო, ხასიათის თვისებები, როგორ მოქმედებენ ისინი საპასუხისმგებლო მომენტებში, რა განაპირობებს მათ საქციელს და რამდენად შეესატყვისება ახალი დროის რაინდის ფსიქოლოგიური პორტრეტი მისი წინამორბედისას, რას ნიშნავს მათთვის სარაინდო კოდექსი და რაინდის მიერ დადებული პირობა?

„რაინდის მიერ მოყოლილ ამბავში“ ერთ-ერთი პერსონაჟია თეზევსი, ათენის მეფე. ავტორის დახასიათებით ის იყო ნამდვილი გმირი და „დიდგვარი უდიადესი“. თეზევსმა დედოფალ იპოლიტაზე იქორწინა. მის ბედნიერებას ყველა ხარობდა, თუმცა შენიშნა სასოწარკვეთილ ქვრივთა

კვნესა, რის გამოც განაწყენდა მეფე, რადგან მისი ლხინი იყო და იქ სევდას არაფერი ესაქმებოდა:

„ვინა ხართ ანუ რაზე სწუხართ,- ჰკითხა პატრონმა,-
ჩემს ლხინში თქვენი წილი ლხენა ვინ არ გადროვათ?
გამარჯვებამ და სალადობო ალბათ ამბავმა

შურით აგავსოთ გულბოროტნი და დაგაბრმავათ“ (ჩოსერი 1977: 51).

ქვრივნი წუხდნენ, რადგან თებეს იმჟამად ბებერი, სასტიკი და შეუბრალებელი კრეონი მართავდა, რომელმაც ცოცხლებთან ერთად მკვდრებიც კი არ დაინდო. კრეონმა ხალხი დააქვრივა ან დააობლა, ხოლო ამ ყოველივეს შემდეგ, თეზევსმა პირობა დადო, რომ მათ გამო შურს იძიებდა. როგორც ვიცით, რაინდისათვის ფიცის/სიტყვის შესრულება აუცილებელი იყო.

„მერე მტირალნი სათითაოდ წამოაყენა,
ხელი მოჰხვია, ჩამოკეცა ფრთები ნალველმა,
სიტყვა დასძრა და შემოჰფიცა ხმითა მაღლითა,
რომ ის, თეზევსი, იმ შენს კრეონს დღეს დააყრიდა“ (ჩოსერი 1977: 53).

აღნიშნული მონაკვეთიდან ნათლად ჩანს რაინდის პატივისცემა მანდილოსნების მიმართ, მისი ლოიალურობა და სიკეთე. თეზევსმა ქალების მიმართ დადებული სიტყვა შეასრულა და

„მეფე კრეონი მან პირისპირ ბრძოლაში მოკლა
მტერი დაიბნა, აირია მგელი და კრავი,

ვინ სად გაიქცა, ვინ უსიერ ტყვეს მისცა თავი“ (ჩოსერი 1977: 53).

ამასთანავე, „გმირთა გმირმა“ თეზევსმა ათენთან თებეც შემოიერთა, რის გამოც მას ყველა მფარველობას სთხოვდა.

თეზევსმა გმირული საქმეების გარდა, კარგი მეგობრობაც იცოდა. ტექსტში ჩანს თეზევსის სიყრმის მეგობარი, სახელგანთქმული პერიოტესი, რომელიც თებელი ტყვის, არსიტის მეგობარი აღმოჩნდა. მიუხედავად არსიტის წილი დანაშაულისა ომში და მისი მონაწილეობის მიერ ათენელებისამდის მიყენებული ზარალისა, თეზევსმა პერიოტესის თხოვნით

არსიტს თავისუფლება აჩუქა. ყოველივე ეს თეზისის დიდსულოვნებასა და შემწყნარებლობაზე მეტყველებს. ჩანს, რომ მისთვის მეგობრობა ბევრად უფრო ფასეული იყო, ვიდრე მტერთან ანგარიშსწორება. განთავისუფლების პირობა კი ისეთი იყო, რომ არსიტი ათენში აღარასდროს უნდა მისულიყო, სხვაგვარად საფრთხე ელოდა,

„გინდა რიჟრაჟი ყოფილიყო, გინდა მიმწუხრი,

იქვე უნდა გაეკოჭათ იგი იმ წუთში,

აღარ გასჭრიდა მაშინ მოძმის სიტყვა არც ერთი

და იმ შენს არსიტს ქათამივით თავს წააწყვეტდნენ“ (ჩოსერი 1977: 60).

„კენტერბერიული მოთხრობების“ პირველ ნოველაში ასევე ვხვდებით ორ პერსონაჟს, დეიდაშვილებს, პალამონსა და არსიტს, რომლებიც თებელ ცხედრებს შორის იყვნენ. ომის თაოსნობის გამო, რომელიც ათენელების წინააღმდეგ იყო, დეიდაშვილები თეზისს წარუდგინეს და საბოლოოდ, ათენში წაიყვანეს, სადაც ციხის ცივ კედლებში ჩასვეს ჩადენილი დანაშაულის გამო. წესისამებრ, როგორც რაინდებს შეეფერებათ, მათ ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ იმისათვის, რათა ერთმანეთი დაეცვათ, გვერდში დასდგომოდნენ ერთურთს და საჭიროებისამებრ, ერთობლივი ძალებით ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. თუმცა, ორივეს ცხოვრებაში დადგა მომენტი, როდესაც მათ უკვე სხვა ინტერესი და მიზანი გაუჩნდათ, რამაც დაავიწყათ ერთმანეთისადმი დადებული პირობა და სიტყვის გატეხვამდე მიიყვანა:

„მე ძმა ვარ შენი, შენი ხორცის და შენი სისხლის,

და არა ერთხელ შემოვფიცეთ ერთმანეთს ისიც,

რომ მხოლოდ სიკვდილს, სიკვდილსა და არა ცხოვრებას

შეეძლო ჩვენი დაცილება და განშორება“ (ჩოსერი 1977: 57-58).

თეზისის ცოლის დის, უმშვენიერესი ემილის სილამაზის დანახვამ ორივე გმირი დაატყვევა. შეყვარებული რაინდები აღარ ფიქრობდნენ რაინდული სიტყვა-პირობის დაცვაზე, მათ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ - როგორმე მოეგოთ ემილის გული და დაემტკიცებინათ,

რომ ერთი მეორეზე უკეთესი იყო. მაგრამ განა რომელიმე იყო ღირსი ემილის სიყვარულისა? იმსახურებს კია პირობის გამტეხი რაინდი მშვენიერი ქალი სიყვარულს? მათ ხომ სამუდამო ძმობა შეჰფიცეს ერთმანეთს, მოიაზრებს კია რაინდული კოდექსი ძმადნაფიცის დალატს?

ჩოსერი ნოველაში მხოლოდ იმ მამაცი თვისებებით კი არ ამკობს დეიდაშვილებს, რომელიც სამეფო გვარის რაინდებისთვის იყო დამახასიათებელი, არამედ მათ ჩვეულებრივ ადამიანებად წარმოგვიჩენს, რომელთაც მიჯნურობამ სძლია და საყვარელმა ქალმა ძმადნაფიცისადმი მიცემული პირობა დაარღვეინა. ერთ დროს პატივსაცემი და ძმადნაფიცი რაინდები უმშვენიერესი ემილიას დანახვამ მეტოქეებად აქცია, რაც რაინდთათვის ნამდვილად მიუღებელი იყო და მისი სიყვარულის პირველობას გაშმაგებულები იჩემებდნენ. პალამონმა თქვა:

„ის მე პირველმა შევიყვარე - ცაა მოწამე,
შევიყვარე და გაგიმხილე ძმას და მეგობარს,
გაგიმხილე და გამიგებდი-მეთქი, მეგონა
და შენ კი განზე განმიდექ და შშრალზე დამტოვე,
როცა შველა და დახმარება გმართებს მარტოდენ“ (ჩოსერი 1977:58).

აღნიშნულ სიტყვებზე აღშფოთებული არსიტი კი საპასუხოდ თავის დეიდაშვილს უთვლის:

„ფიცი და რჯული შენ გატეხე, ჩემი სათქმელი
აქეთ მითხარი, აქეთ მერჩი და მემართლები.
ეს მე ვიგრძენი მისი ტრფობა შენზე პირველად,
რა შუაში ხარ, შენ ხომ მხოლოდ გაიკვირვე და
პირქვე დაემხე ვით უხორცო სულის წინაშე“ (ჩოსერი 1977: 58).

ნოველაში არსიტმა მხოლოდ დეიდაშვილთან დადებული ფიცი არ გატეხა ძმობის შესახებ. მან ასევე თავისუფლების სანაცვლოდ თეზევსთან დადებული პირობაც დაარღვია. პირობის თანახმად კი, როგორც უკვე აღინიშნა, არსიტს ათენში შესვლა სასტიკად ეკრძალებოდა. თუმცა, მხოლოდ ათენში შესვლა არ იკმარა, მან თავი ვინმე ფილოსტრატედ

გამოაცხადა და სასახლის კარზე დიდგვაროვანთა გულს ასე იგებდა. მეფის წყალობა მას სასახლის კარზე არ აკლდა. დიდებულმა და მოწყალე თეზევსმა არსიტს თავისუფლება უბოძა ძველი მეგობრის თხოვნით, ხოლო მან კი სწორედ ასე, მოტყუებითა და პირობის გატეხვით გამოიჩინა მადლიერება მეფის მიმართ. ამ ყველაფრიდან ჩანს მისი უმადურობა იმ ადამიანის მიმართ, ვინც კარგად და კეთილად მოეპყრო. სიკეთე სიკეთითვე არ გადაუხადა და შენიღბული სასახლის კარზე თვალთმაქცობდა და თავი სხვა ადამიანად მოჰქონდა:

„სასახლის კარზე ფილოსტრატედ იცნობდნენ არსიტს
და მსახურთაგან არვინ ჰყავდათ იმისი ფასი.

სეფე ქალთ სცნობდა, შინა კაცად გაენდო მდივანთ,
სამეუფეო პალატებშიც სტუმრობდა ხშირად“ (ჩოსერი 1977: 66).

არც არსიტის დეიდაშვილი, პალამონი გამოირჩეოდა დიდად სამაგალითო რაინდის ქმედებებით. როდესაც არსიტი თეზევსმა შეიწყალა და გაანთავისუფლა, პალამოტი სატუსალოში მარტოდ დარჩა. ტყვეობა მისთვის სულ უფრო და უფრო მტანჯველი და უსასრულო იყო და ბოლოს, შვიდწლიანი პატიმრობის შემდეგ, პალამონმა ციხეს თავი დააღწია. როგორი რაინდია ის, ვინც საკუთარ დანაშაულს გაურბის და უარს ამბობს თავისი ქმედებების პასუხისგებაზე? განა შეშვენის კია რაინდს ასე, მეციხოვნის გაბრუებით თავის დახსნა და მალულად გაქცევა? აქედან ჩანს პალამონის სიმხდალე და სასოწარკვეთა,

„თურმე თებელნი დატრიალდნენ, რაღაც იღონეს,
ღვინოში ბანგი შეაპარეს მის მეციხოვნეს,
ულუფაც მისცეს თრიაქისა, თითქმის საღორე,
ღვთის წყალობა გვაქვს, ის ღორივით ჩამოაგორეს“ (ჩოსერი 1977: 67).

დეიდაშვილებს შორის არსებული შუღლი და ძმობის შესახებ დადებული ფიცი რომ გატყდა, უკვე აღინიშნა, თუმცა საქმე კიდევ უფრო და უფრო შორს წავიდა. ციხიდან გამოქცეულ პალამონს არსიტი გადაეყარა, რომელიც საკუთარ ბედს მისტიროდა და მიჯნურზე ფიქრი უწვამდა გულს.

პალამონმა გაიგო ძმადნაფიცის სასახლის კარზე თაღლითობისა და თვალთმაქცობის შესახებ და სიბრაზემ თვალზე ბინდი გადააკრა,

„ან მოგკლავ, ან ზედ დაგაკვდები, ძმის მამწარებელს
ცოცხალი თავით ემილიას არ დაგანებებ.

შენი მტერი ვარ მოსისხლე და დაუნდობელი,

ორთავ ვერა და ვერ დაგვიტევს ერთად სოფელი“ (ჩოსერი 1977: 70).

საბოლოოდ, გადაწყდა, რომ ბრძოლაში გამარჯვებულს დარჩებოდა ემილია, წაგებული კი სიცოცხლეს დაემშვიდობებოდა. ბრძოლის მოახლოებასთან ერთად დეიდაშვილები დაფრთხნენ, თითქოს რაღაც აკავებდათო, მაგრამ ლაჩრული შიში მალევე მოიშორეს. შეხვედრისას სალამიც კი არ გაიმეტეს ერთმანეთისთვის ,

„სალამიც კი არ გაიმეტა არც იმან, არც მან

და უსიტყვოდვე გააგრძელეს თორების ჩაცმაც.

ისე კი ერთურთს შეაშველეს ჩაცმაში ხელი,

თითქოს სულ ასე ერთობოდნენ მრავალი წელი“ (ჩოსერი 1977: 72).

არსიტისა და პალამონის ბრძოლას სანადიროდ წასული თეზევსი შეესწრო, რომელსაც თან მრავალ ხალხს შორის თავისი მეუღლე, იპოლიტა და ცოლის და - ემილია ახლდა. როდესაც თეზევსმა მათი ვინაობისა და დავის შესახებ გაიგო, ბრაზმა შეიპყრო და სიკვდილით დაემუქრა, რაზეც იპოლიტასა და ემილიას ცრემლები მოერიათ,

„სისხლი ნახეს და შეიცხადეს სეფექალებმა,

სისხლი ნახეს და იმათ მეტიც აღარ უნდოდათ -

ნუ იქცევო, მეფეო, ასე უღმობლად.

ზოგი უზანგს წვდა, ზოგი მუხლზე ჩამოეკეცა“ (ჩოსერი 1977: 75).

ქალთა ვედრების შემხედვარე მეფეს გული მოუბრუნდა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თეზევსის პატივისცემას მანდილოსნებისა და მათი სურვილების მიმართ. ასევე ხაზს მიუთითებს მის ლოიალურობასა და შემწყნარებლობაზე, მიმტევებლობაზე,

„და რაკი ამას ბანოვანთა ცრემლებიც მთხოვენ,

მეც დღეის იქით დავივიწყებ უკლებლივ ყოველს
მაგრამ თქვენც უნდა შემომფიცოთ, დღეიდან არსად
აღარ მიმტრობთ და არც დალაშქრავთ ათენელთ საზღვართ“
(ჩოსერი 1977: 77)

„ექიმის მიერ მოყოლილ ამბავში“ ჩვენ ვხვდებით რაინდს, სახელად ვირგინიუსს. ტექსტში ვკითხულობთ, რომ რაინდის ერთადერთი ასულით ვიღაც უღირსი მოსამართლე კაცი დაინტერესებულა, რომელმაც ლამაზი ქალიშვილის ხელში ჩაგდება განიზრახა. მოსამართლე აპიუსმა თანამზრახველად ვინმე კლავდიუსი მიიხმო, რომელთაც მიზნის მისაღწევად მზაკვრული გეგმა დასახეს. სასამართლოზე წარდგენილ ვირგინიუსს ბრალი დასდეს სხვისი მოახლის მითვისებაში, რომელიც სინამდვილეში, მისი ქალიშვილი იყო. შინ დაბრუნებულმა შვილს ყოველივე უამბო და გამოსავალიც შესთავაზა:

„შვილო, ვირგინიავ, ორი გზა გივის -
ან თავის მოჭრა, ანდა მხოლოდ სამარე ცივი,
მე, მამას შენსას, დღეს ასეთი ბედი მარგუნეს,
რომ უნდა მოკვდე, როცა ამას არ იმსახურებ“ (ჩოსერი 1977: 178).

თუ კარგად ჩავუღრმავდებით ციტატის შინაარსს, დავინახავთ, რომ რაინდი, რომელიც წესით უშიშარი და მამაცი უნდა იყოს მეტოქის მიმართ, არც ისეთი მამაცი და შეუპოვარია. ჩვენ ვიცით, თუ როგორია რაინდების დამოკიდებულება მანდილოსნების მიმართ, მათი თავდადება, მათი გულისთვის სიკვდილი და ყოველგვარ მსხვერპლზე წასვლა. თუმცა არ ჩანს ვირგინიუსის თავდადება შვილისადმი, გამოსავლის ძიების სურვილი. შესაძლებელია ქალიშვილის სიკვდილი იყოს გამოსავალი? რატომღაც ვირგინიუსის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და არჩევანი არ შეესაბამება ტიპიური რაინდის საქციელს. სასოწარკვეთილ ასულს არ უნდოდა სიკვდილი და ევედრებოდა მამას, სხვა გამოსავალი ენახათ, რაზეც მან პასუხად უარი მიიღო:

„ნუთუ მართლა უნდა მოკვდე, ნუთუ სამარის

კარამდის ჩემთვის აღარ არის რამე წამალი?

აღარ არისო, სასოებავ,-უთხრა პასუხად“ (ჩოსერი 1977: 179).

ჩოსერი პილიგრიმებს შორის წარმოგვიდგენს ბათელ ქალს, რომელიც თავისი ცხოვრების წესით ძალიან საინტერესო პერსონაჟია და ეს ყველაფერი მას გამოარჩევს სხვა დანარჩენებისაგან. მის მიერ მოყოლილ ამბავში ვხვდებით მეფე არტურის სასახლის რაინდის,

„სასახლის კარზე მეფე არტურს ჰყავდა რაინდი,

ჯერ ყრმა-ჭაბუკი, მკვირცხლი, მარჯვე და მუყაითი.

გადაეყარა გზად რაინდი ვიღაც ქალიშვილს

და აბუსკნავა თურმე როგორც ყურის ბალიში“ (ჩოსერი 1977: 210).

როგორც უკვე აღინიშნა, მეფე არტურის რაინდი სამაგალითო და ყველა ღირსეული რაინდის თვისებებით უნდა ყოფილიყო შემკული. თუმცა, ნოველის გმირი არც ისეთი ღირსეული აღმოჩნდა, როგორც უნდა ყოფილიყო. რაინდმა ერთი ქალიშვილი გააუპატიურა, რამაც ყველა აღაშფოთა. ხალხის რეაქცია ბუნებრივიცაა, ის ხომ რაინდი იყო, სამაგალითო და მისაბამი პიროვნება, რომელიც მუდამ სიმპათიას აღძრავდა საზოგადოებაში:

„ხალხი აღშფოთდა, ღმერთი გაწყრა, ვაჟი გამტყუნდა,

სიკვდილით დასჯა ბრძანა მაშინ მეფე არტურმაც“ (ჩოსერი 1977: 210).

ჩადენილი ცოდვისა და დანაშაულის ფონზე, რაინდს მაინც მისცეს შანსი შეცდომა გამოესწორებინა და გაუშვეს იგი ერთი წლის ვადით, რათა გაეგო კითხვაზე პასუხი ,თუ რას უფრო ესწრაფვის ქალთა მოდგმა. კითხვაზე პასუხის ძიებაში რაინდს ერთი ბებერი ქალი დაეხმარა, რომელმაც სანაცვლოდ ერთი სურვილის შესრულება ისურვა. რაინდს სხვა გზა აღარ ჰქონდა:

„წამიწყდეს სული, თუ ნამდვილად არ აგისრულოთ,

თქვენ რაც არ უნდა უცნაური რამ მოისურვოთ“ (ჩოსერი 1977: 213).

ისმის კითხვა, წარმოიდგენდა კია რაინდი მართლაც უცნაურ სურვილს თუ მოითხოვდა მოხუცი ქალი? ფაქტია, არა! მოხუცი ქალის სურვილი რაინდის ცოლობა იყო:

„მეხის გავარდნას ჰგავდა მისი სიტყვა დარბაზში,

ხოლო რაინდის ფეხქვეშ მიწამ იწყო ბარბაცი“ (ჩოსერი 1977: 214).

ქალის მიერ გამხელილი სურვილის შემდეგ, რაინდმა შესთავაზა, იქნებ რამე უფრო „ბებრული“ მოესურვა, სადაც ჩანს მისი უპატივისმცემლობა ერთი მხრივ ქალის, ხოლო მეორე მხრივ, მოხუცებულის მიმართ. თითქოს ჩანს, რომ იგი საკუთარ სიტყვას პატივს არ სცემს და დაბრკოლებიდან გამოსვლის შემდეგ უმალ დაავიწყდა მიცემული სიტყვა.

საბოლოოდ, რაინდმა ცოლად ბებერი ქალი შეირთო. თეთრად გათენებული ღამის შემდეგ მოხუცმა ქალმა ქმრის გულცივობაზე დაიწყო წუწუნი, რაზედაც პასუხად მიიღო:

„მე ხომ სასახლის რაინდი ვარ-შენ კი უგვარო

ვიღაც მდაბიო და ამასთან ერთად უღვთოდ უგვარო

ჰოდა, რად გიკვირს გულცივობა ჩემი ამგვარი,

ვგდივარ კუტი და უილაჯო, როგორც საპყარი“ (ჩოსერი 1977: 215).

მოცემული ციტატიდან მკვეთრად ჩანს რაინდის ამპარტავნობა, თითქოს ვინმეზე რამით მეტი იყო რაკი სასახლის რაინდი ერქვა. სწორედ ის რაინდი არ იყო, რომელმაც ქალწულს შეურაცხყოფა მიაყენა? სად იყო მაშინ მისი გვაროვნება და წარმომავლობა. მდაბიო ხარო ცოლს ეუბნება, სწორედ იმ ქალს, რომელმაც სასიკვდილო განაჩენისაგან იხსნა, განაჩენისაგან, რომელსაც ძალიან ბევრი ადამიანი სიხარულით ელოდა. არ აქვს მნიშვნელობა მეფე არტურის რაინდი იყო თუ არა, ფაქტი მაინც ერთია, რაინდი არ არის ისეთი, როგორც იყო ძველად, მათმა ქმედებებმა, დამოკიდებულებებმა სახე იცვალა. ისინი აღარ არიან კვლავინდებურად ზრდილნი, კეთილნი და პასიოსანნი.

სტუდენტის შემდეგ, ამბის მოყოლა ვაჭარმა დაიწყო. „ვაჭრის ამბის“ მთავარი პერსონაჟი რაინდი იანუარია, რომელმაც როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს ცოლი შეირთო, სახელად მაია. მაია მშვენიერი ქალბატონი იყო, რაინდს კი ის მთელი თავისი არსებით უყვარდა და ეთაყვანებოდა. თუმცა, ქალის გრძნობები არ ემთხვეოდა მეუღლისას. მაიას გული იანუარის პაჟის - დამიანესაკენ მიუწევდა და მოხუც ქმარს ღალატობდა. როდესაც ხანდაზმული იანუარი დაბრმავდა, სულ ცოლის გვერდით იყო, მაგრამ მაიას ღალატს ამან ხელი ვერ შეუშალა.

საკმაოდ საინტერესოა ის მომენტი, რომ იანუარს თვალისჩინი სწორედ მაშინ დაუბრუნდა, როდესაც ცოლი და პაჟი ალერსში იყვნენ გართულნი. ბუნებრივია, რაინდს საკმაოდ მწვავე რეაქცია უნდა ჰქონოდა ცოლის ღალატისა და თვალეზში ნაცრის შეყრის გამო. სწორედ ასე მოიქცეოდა ნამდვილი რაინდი, არავის აპატიებდა საკუთარი სახელისა და ღირსების შელახვას. მიუხედავად მანდილოსნებისადმი დიდი მოკრძალებისა და პატივისცემისა, ღალატი უპატიებელი რამ იყო. თუმცა, მაიამ თავი გაიმართლა და როგორღაც შეძლო ქმრისთვის დაემტკიცებინა, რომ მხედველობა სწორედ მისი ღმერთთან დადებული აღთქმის გამო დაუბრუნდა.

რაინდები სიძლიერესთან ერთად გონებამახვილობითა და გამჭრიახობითაც გამოირჩეოდნენ, რასაც ვერ ვიტყვით იანუარზე. რაინდები არჩევდნენ კარგსა და ცუდს, ტყუილსა და მართალს, ხოლო იანუარმა საკუთარი ცოლის ღალატზე თვალი დახუჭა. მან დაიჯერა მაიას მიერ მოყოლილი ამბავი ღმერთთან დადებულ ფიცზე და საკუთარი თვალით ნანახი ღალატი უპასუხოდ და უმოქმედოდ დატოვა.

„ვაჭრის ამბის“ შემდეგ ისტორიის თხრობას ვასალი აგრძელებს. „ვასალის ამბავში“ თხრობა იწყება იმით, რომ ძველ არმორიკში ერთი რაინდი იყო, სახელად არვერაგუსი. რაინდი ერთ ქალს ეტრფოდა, დორიგენეს, რომელიც ნამდვილად კალმით იყო ნახატი. არვერაგუსის

ტრფობას დორიგენემ გვერდი ვერ აუარა და საბოლოოდ, მას ცოლობაზე დასთანხმდა,

„მაშინ რაინდმა ქალს შეჰფიცა, რომ სამუდამოდ
ის, ვით ღვთაება, სავედრელი და სამუდარო,
კვლავ დარჩებოდა რაინდისთვის, და ქორწინება
ვერ მიჩქმალავდა სატრფოსადმი მის მოწიწებას“ (ჩოსერი 1977: 251).

ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ ხეტიალს მონატრებულმა რაინდმა იარაღს დაუწყო ძებნა და წავიდა ინგლისში ორი წლის ვადით. მარტო დარჩენილი დორიგენე სევდას მიეცა, ქმრის მონატრებას ვერვინ უქარწყლებდა. გუნება მხოლოდ ქმრის წერილმა გამოუკეთა, სადაც ის წერდა, რომ მოკლე ხანში დაბრუნდებოდა სატრფოსთან. მხოლოდ ამის შემდეგ გაჰყვა იგი მეგობრებსა და ნაცნობებს ზღვისპირას სასეირნოდ,

„ქმრისგან წერილიც მოუვიდა ქალს სააღდგომოდ-
მე მოკლე ხანში ჩამოვალ და არ იდარდო.

მაშინ კი მართლა მოკეთდა და გამოხალისდა
გული ქალისა, კეთილისა და მოყვარისა“ (ჩოსერი 1977: 252).

ჰაჟებს შორის იყო ყველასაგან გამორჩეული ყმაწვილი, სახელად ავრელიუსი, რომელიც დორიგენეს ეტრფოდა. სეირნობისას ავრელიუსი ქალს თავის გრძნობებში გამოუტყდა, რაზეც მან მტკიცე უარი მიიღო:

„უმაღ მრისხავდეს დედა ღვთისა და ვიქცე მიწად,
ვიდრე ვიმრუმო და საყვარელ ქმარს ვუღალატო,
-გთხოვ, მსგავსი რამე არ მაკადრო აწი არასდროს“ (ჩოსერი 1977: 255).

როგორც ვხედავთ, „ვასალის ამბავში“ წარმოდგენილი რაინდის ცოლი ქმრის ერთგულებით გამოირჩევა, შეურაცხყოფად მიიჩნევს სხვა მამაკაცის მხრიდან გრძნობის გამხელას, რასაც ვერ ვიტყვით სხვა პილიგრიმების მიერ მოთხრობილი ამბების გმირ ქალებზე. „ვაჭრის ამბავსა“ და „მნის ამბავში“ წარმოდგენილი რაინდების ცოლები მეუღლეებს უტიფრად ღალატობდნენ და თვალეში ნაცარს აყრიდნენ, მაგრამ

დორიგენეს ქმარი ძლიერ უყვარდა და სწორედ ამიტომაც პაჟი უარით გაისტუმრა. თუმცა მსუბუქ ფლირტზე უარი არ თქვა და ვაჟს გაეხუმრა:

„როცა ქარიშხლებს დაუღეწავ კლდეთა საყუდელს,

სიყვარულს ჩემსას მხოლოდ მაშინ დაიმსახურებ“ (ჩოსერი 1977: 256).

რას წარმოიდგენდა ქალი, თუ სწორედ მისი ხუმრობა ასე შემოატრიალებდა ბედის ბორბალს და დაღუპავდა. ღონემიხდილი და სასოწარკვეთილი პაჟი უიმედობამ შეიპყრო და ცხოვრებაზე ხელიც ჩაიქნია, თუმცა ყოფილა თურმე გამოსავალიც. ერთი მენცარის გრძნეულობის დახმარებით, „კლდე თვითეული აღიგავა პირისგან მიწის“ (ჩოსერი 1977: 263). პაჟის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, თითქოს მენცარმა ერთი ნაბიჯით მიაახლოვა სატრფოს გულისკენ, დორიგენესთან მივიდა და თავისი პირობა შეახსენა, რომელიც ხუმრობით წამოსცდა ქალს:

„-ხომ გახსოვთ ბაღში რაც აღმითქვით, რა უმძიმესი

ხარკი დამადეთ და უსასო ტანჯვას მიმეცით

რაკი აღსრულდა ყოველივე- კლდე ზღვამ წალეკა,

კი არ მოვითხოვ, ველი აღთქმულს, ვით მოწყალებას“ (ჩოსერი 1977:

264).

ქალი უდიდესმა სევდამ შეიპყრო და მხოლოდ სიკვდილში ხედავდა გამოსავალს. საბოლოოდ, როდესაც ქმარს ყოველივე უამბო, მან დაუყვავა ცოლს და თავისი სიტყვის შესრულებისაკენ მოუწოდა:

„ფიცის გატეხვით არ შებღალო სიწმინდე შენი,-

მე თუნდაც დღესვე მოვკვდებოდი უსაზღვრო შვებით,

ოღონდაც სიტყვას ნუ გადახვალ -ციური განძი

სიტყვაა მხოლოდ, არ იყოფა სიტყვა და კაცი“ (ჩოსერი 1977: 268).

რაინდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მკითხველში ორ აზრს იწვევს. პირველ რიგში სწორია, რომ რაინდი მიცემულ სიტყვას ესოდენ აფასებდა, მისთვის სიტყვის არ შესრულება წარმოუდგენელი იყო. თუმცა მეორე მხრივ, პირობის გატეხვას ამჯობინა საკუთარი მეუღლე დაეთმო სხვისთვის. მან სხვა ალტერნატიული გამოსავალი არც კი ეძია, ასე

მარტივად და ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა, სიტყვა შეესრულებინა დორიგენეს და პაჟთან წასულიყო. რომელი უფრო დიდი სირცხვილი იყო, პირობის დარღვევა თუ ცოლის დათმობა? არვერაგუსმა გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მიიღო,

„ნუ ტირი, ჩემო სიყვარულო, წილხვედრილს ბედით

ვერ აღუდგება წინ ვერავინ სულელის მეტი.

უცილოდ უნდა შეასრულო აღთქმული სიტყვა,

რაკი პირობა დაგიდვია და ფიცი გითქვამს“ (ჩოსერი 1977: 268).

პაჟის პერსონაჟი საკმაოდ უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველში. ეს ბუნებრივიცაა, მოსიყვარულე ცოლ-ქმარს შორის ჩამდგარი პაჟის საქციელი ვერ იქნება ზნეობრივად გამართლებული და მისაღები. ცნობილია პაჟის უფლება-მოვალეობები. ავრელიუსის მოქმედება კი პაჟისათვის უღირსი და მიუღებელი იყო. მის ხასიათსა და ქმედებებში არ შეინიშნება მანდილოსნისადმი პატივისცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გათხოვილი ქალის ხელში ჩაგდებას არ მოისურვებდა მზაკვრული გზით.

ჩოსერის პილიგრიმებს შორის იყო მნე. იგი ყველა ამბავს ყვავის შესახებ, რომელიც ერთ მხიარულ და ძალიან მშვენიერ რაინდს ეკუთვნოდა. რაინდს სახელად ფეზუსი ერქვა, რომელსაც ცოლად უსაყვარლესი ქალი ჰყავდა. ცოლ-ქმარი ფრინველთან ერთად სასახლეში ცხოვრობდა. ერთი შეხედვით, ფეზუსი იდეალური და სამაგალითო რაინდი იყო. სიძლიერის გარდა, სილამაზესა და გულკეთილობაშიც არ ჰყავდა მას ბადალი. თუმცა ამ ყველაფერთან ერთად, ძალიან ეჭვიანი იყო. მისი ეჭვიანობა იმდენად ძლიერი იყო, რომ სახლში სტუმარიც კი არ მიჰყავდა და არც ცოლს უშვებდა სადმე უნებართვოდ,

„ისე უყვარდა, ცოტას კიდევ ეჭვიანობდა,

თუმცაღა კაცი სხვაფრივ ამას ვერ შეატყობდა,

მაგრამ კურთხეულს სახლში სტუმრად არვინ მიჰყავდა

და ცოლსაც არსად არ უშვებდა დაუკითხავად“ (ჩოსერი 1977: 321-

322).

ცოლის ღალატისა ეშინოდა ალბათ, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ ცოლები მაშინ ღალატობენ, „როცა მას რკინის გალიაში გამოკეტავენ“ (ჩოსერი 1977: 322). ეჭვი ისეთი გრძნობაა, რომელსაც ნებისმიერი ადამიანის დაბრმავება შეუძლია, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ღირსეული და ძლიერი ხარ.

„ყველას ჯობია მას ნებაზე თუკი მიუშვებ,

რამეთუ ოდენ ჯოჯობხეთში მიდის სიმრუშე“ (ჩოსერი 1977: 322).

ფებუსი ვერ ამჩნევდა, თუ როგორ ღალატობდა მეუღლე. როდესაც რაინდი შორს კარგა ხნით წავიდა, ცოლმა და მისმა საყვარელმა დრო იხელთეს ერთად ყოფნისათვის. ფებუსის ყვავი ამ უღირს საქციელს უყურებდა, მაგრამ ვერაფერს ამბობდა მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი ფრიად აწუხებდა. დუმდა ყვავი მანამ, სანამ რაინდი შინ არ დაბრუნდა. აი, როდესაც ფებუსი სახლში შევიდა, ყველაფერი პირში მიახალა ცოლის ღალატის შესახებ:

„მეუღლემ შენმა თავი თვისი სხვას ასაყვარლა,

გათელეს შენი წმინდა სული, ლაფში ისვრება

შენი სახელი და ღვთური შენი ღირსება,

აღარ დაინდეს ნიჭი შენი, ფხა და ტალანტი,

მეუღლემ შენმა თავი ურცხვად მოგჭრა ღალატით“ (ჩოსერი 1977: 325).

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ფებუსმა ცოლს მშვილდ-ისრით სიცოცხლე მოუსწრაფა. ყველაზე საკვირველი კი ის იყო, რომ მოგვიანებით, თავისი გადაწყვეტილება ინანა და მშვილდი გადატეხა, ბახალას მიუბრუნდა და მას დადანაშაულება დაუწყო. ბრალად სდებდა, რომ ცოლი სწორედ მისი სიტყვის გამო გამოასალმა სიცოცხლეს:

„ცოლი კი არა, მე განმგმირე ჩემივე ისრით,

მე მოკვდი, ბრიყვო, მე მადინე გულიდან სისხლი.

ვინ დამიბრუნებს სიყვარულს და ცხოვრებას ჩემსას,

რად აღმაზევე ცოდვისა და სიკვდილის თესვად?“ (ჩოსერი 1977: 326).

განრისხებულმა რაინდმა ყვავს თეთრი ბუმბული გააცალა, ბერის ძაძა ჩააცვა, სმენა დაუხშო და გალობის ნიჭიც წაართვა. ბოლოს კი ხელი დაავლო და კარში ისროლა,

„თეთრი ბუმბული გააცალა და ტანზე ბერის

რიზა ჩააცვა ძაძისა და სიკვდილის ფერის.

წაართვა ნიჭი გალობისა, დაუხშო სმენა

და სამუდამოდ დაავიწყა ადამის ენა.

აწ ვინმე თუკი მოისმენდა უამურ ყრანტალს,

შეაგინებდა ერთ ჯიშსა და გასაგისს ყვავთა“ (ჩოსერი 1977: 327).

ძალიან დიდ ყურადღებას იწვევს რაინდის ასეთი რეაქცია ცოლის ღალატზე. ერთი მხრივ, ბუნებრივია, რომ განრისხებულ მდგომარეობაში მყოფმა ქმარმა მოღალატე ცოლის მოკვლა გადაწყვიტა და შეასრულა კიდეც საწადელი. თუმცა, მეორე მხრივ, მისი სინანული ჩადენილის გამო ეჭვს იწვევს. რატომ ინანა ფებუსმა ცოლის მოკვლა? რატომ მისტიროდა ერთად განვლილ წლებს? რატომ ადანაშაულებდა ბახალას, რომ სწორედ მისი წაქეზებით ჩაიდინა მკვლელობა?

„ჩემო სიცოცხლე, სიხარულო ღამეთა ჩემთა,

ამ ქვეყნის ჭირი რაოდენი გავლიეთ ერთად.

ძალას და იმედს მხოლოდ ტრფობა მაძლევდა შენი,

შენ მინათებდი გზას უსასოდ წყვდიადში შთენილს“ (ჩოსერი 1977: 326).

საინტერესოა, აპირებდა თუ არა იგი კვლავ იმ ქალის გვერდით ცხოვრებას, რომელმაც მისი ღირსება და სიყვარული შეურაცხყო? ცხელ გულზე რომ არ მიეღო გადაწყვეტილება და მოესმინა ცოლისათვის, შესაძლოა, კვლავინდებურად ეცხოვრა იმ ქალის გვერდით, რომელმაც ასე დაამცირა? თითქოს ღალატზე რაინდის რეაქცია არც თუ ისე მწვავეა, თითქოს შეურიგდა კიდეც იმ აზრს, რომ ღალატის შემდგომ ცოლთან ერთად კვლავინდებურად ცხოვრება შესაძლებელი იყო.

ჩოსერის რაინდთა სახეების, მათი ხასიათისა და ქცევის შესწავლისას შეუძლებელია არ გაგვახსენდეს კრეტიენ დე ტრუას ლანსელოტი რომანიდან „ლანსელოტი, ანუ ურმის რაინდი“ და ჰარტმან ფონ აუეს ჰაინრიხი, რომან „საბრალო ჰაინრიხის“ მთავარი გმირი. გატაცებული გენიევრეს დასახსნელად ლანსელოტი იძულებული გახდა, ემგზავრა ურმით, რაც რაინდისთვის დიდ სირცხვილს ნიშნავდა, მაგრამ თავმომწონე ლანსელოტმა დათრგუნა ღირსება და მცირე ყოყმანის შემდეგ მაინც ავიდა ურემზე, რადგან სხვაგვარად ვერ გაიგებდა ქალის ადგილ-სამყოფელს. შემდგომში მისი წამიერი ყოყმანი გახდა გინიევრეს განაწყენების მიზეზი, მანაც მოითხოვა, კიდევ უფრო დაემდაბლებინა თავი რაინდს და განგებ დამარცხებულიყო ტურნირებში ასპარეზობისას. რაინდისთვის უღირს საქციელზე სწორედ ქალისთვის მიცემულმა სიტყვამ უბიძგა და ისიც ასრულებდა დანაპირებს, ვიდრე გინიევრემ თავად არ გააბათილა საკუთარი პირობა.

ჰაინრიხს, სახელგანთქმულ რაინდს უბედურება დაატყდა თავს - კეთრი შეეყარა, მისი ხსნა უმანკო ქალიშვილის ნებაყოფლობით თავგანწირვაში მდგომარეობდა და როცა ასეთი შესაძლებლობა გამოჩნდა, ჰაინრიხი მორალურად ამაღლდა და საკუთარ ბედთან შეგუება არჩია. ამ ღირსეული და კეთილშობილური გადაწყვეტილების გამო კი ღმერთმა იგი კეთრისაგან განკურნა.

ლანსელოტისა და ჰაინრიხის რაინდული ამბებისა და თავგადასავლების ფონზე, ჩოსერისეული რაინდები რა თქმა უნდა, რადიკალურად განსხვავებულად მოგვეჩვენება. მათ აღარ ახასიათებთ ისეთი რაინდული სიმამაცე, სულგრძელობა, სამართლიანობა და დიდსულოვნება, როგორც ზემოთ აღნიშნულ რაინდებს.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების“ მრავალფეროვან პერსონაჟთაგან რაინდთა სახეების შესწავლა და მათი შეპირისპირება შუა საუკუნეების რაინდებთან, როგორც გარეგნულ, ასევე ზნეობრივ-მორალურ პლანში. ამ ორი კატეგორიის გაანალიზებისა და მათ შორის მსგავსება-განსხვავების დადგენის შედეგად, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება, თუ რამდენად იცვალა სახე რაინდთა თვისებებმა და ზოგადად, რაინდულმა იდეალებმა ორი საუკუნის შემდეგ.

კარგი საბრძოლო მომზადების გარდა, შუა საუკუნეების რაინდებისთვის დამახასიათებელი იყო მთელი რიგი დადებითი თვისებები: სიმამაცე, გალანტურობა, თავაზიანობა, სიუზერენისადმი ერთგულება, წრფელი და უღალატო სიყვარული რჩეული ქალბატონის მიმართ, რაღა თქმა უნდა, საკუთარი სიტყვის დაცვა და შესრულება. მათთვის რაინდული ფიცის გატეხვა ღირსების შელახვის ტოლფასი იყო. შეურაცხყოფილი და პატივყრილი რაინდი საყოველთაო გაკიცხვას იმსახურებდა. ამიტომაც ისინი ყველა ღონეს მიმართავდნენ საკუთარი ღირსების დასაცავად. სიკვდილს ამჯობინებდნენ შერცხვენილ სიცოცხლეს.

ჩოსერი ორი ეპოქის გასაყარზე ცხოვრობდა და ქმნიდა, ამიტომაც მის შემოქმედებაში შუა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციებისა და აღორძინების მწერლობისთვის დამახასიათებელი თვისებების თავმოყრა მოხდა. მისი ლიტერატურული გემოვნება სარაინდო ლიტერატურის გავლენით ჩამოყალიბდა, თუმცა მალევე სრულად შეისისხლხორცა რენესანსული მსოფლმხედველობა და ახალი ლიტერატურული სიახლეები.

აღნიშნული ეპოქალური ცვლილებები მკაფიოდ აისახა მის გმირებზე. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა რაინდთა ფენა. ჩოსერის რაინდები აღარ არიან რაინდული კოდექსის მკაცრი დამცველები, მათთვის სიტყვამ „ღირსება“ თითქოს ფასი დაკარგა. აღარაფრად თვლიან მანდილოსნის მიმართ პატივისცემას, ძმადნაფიცის დაცვას, საკუთარი

ოჯახისთვის ბრძოლას, ეგუებიან ღალატს, ივიწყებენ მიცემულ პირობას და ა.შ.

ამრიგად, ახალმა, რენესანსულმა ეპოქამ კვალი რაინდებსა და რაინდულ იდეალებსაც დაატყო - გააუფერულა და დაასუსტა. მეცნიერების, ვაჭრობის, კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებისა და დიდი აღმოჩენების ეპოქაში, როცა ადამიანის გონებრივი თვალსაწიერი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, განთავისუფლდა შუასაუკუნეობრივი ცრურწმენებისა და რეგილური დოგმატების გავლენებისგან, როცა ომები დაქირავებული ჯარისკაცების საშუალებით იწარმოებოდა, ხოლო ლიტერატურამ საერო ხასიათი მიიღო და უფრო რეალისტური გახდა. რაინდობამ, როგორც სოციალურმა ფენამ, ნელ-ნელა მნიშვნელობა დაკარგა და სახე იცვალა.

მართალია, ჩოსერის გმირები ვიზუალური კუთხით, ჩაცმულობითა თუ აღკაზმულობით, კვლავ მოგვაგონებენ ძველი, შუა საუკუნეების რაინდთა ტიპებს, მაგრამ სინამდვილეში, მათი ქმედებები, მათ მიერ მიღებული ცხოვრებისეული გადაწყვეტილებები, მორალური თუ ზნეობრივი ორიენტირები წინამორბედებთან თანხვედრაში აღარ არის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბიგანიშვილი, ჭითანავა 2017:** ბიგანიშვილი თ., ჭითანავა ლ., *დასავლური ლიტერატურა*. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი 2017
2. **გაჩეჩილაძე 1991:** გაჩეჩილაძე გ. *ჩოსერიდან შექსპირისკენ*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1991.
3. **გუბელაძე 2018:** გუბელაძე ნ. *აღორძნების ხანის ინგლისური ლიტერატურა*. ქუთაისი 2018
4. **გუბელაძე 2014:** გუბელაძე ნ. *შუა საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორიის საკითხები*. ქუთაისი 2014
5. **ელბაქიძე 2002:** ელბაქიძე მ. *დროის გაგებისათვის შუასაუკუნეების რაინდულ რომანში(„ვეფხისტყაოსნისა“ და კრეტიენ დე ტრუას არტურის ციკლის რომანების მაგალითზე)*. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, რუსთველოლოგია,N2, თბილისი : 2002
6. **მიქელაძე 2017:** მიქელაძე დ. *ინგლისური ლიტერატურის ისტორია I*. სამცხე-ჯავახეთის სახ. უნ-ტის გამ-ბა, 2017.
7. **ჟავახია 2008:** ჟავახია ბ. *რაინდობა შუა საუკუნეების ევროპაში*. თბილისი: გაერთ. შტაბის ტოპოგრ. სამ. კარტ. განყ-ბის სტ., 2009
8. **ტოროტაძე 2013:** ტოროტაძე ქ. *ინგლისური ლიტერატურის ისტორია*, 2013
9. **ურუშაძე 1960:** ურუშაძე ნ. *ნარკვევები საზღვარგარეთის ლიტერატურიდან I*. თბილისი: გამომცემლობა „ცოდნა“, 1960.
10. **ქუდიანი 2010:** ქუდიანი მ. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი 7-8. *ზნეობრივი აღზრდის სარაინდო მატრიცა*. გამომცემლობა „ინტელექტი“, 2010.
11. **ჩოსერი 1977:** ჩოსერი ჯ. *კენტერბერიული მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.
12. **ჭელიძე 1970:** ჭელიძე ვ. ჟურნალი „ხომლი“ N5, 1970, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი
13. **ხავთასი 1953:** ხავთასი გრ. *ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან I*, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1953.
14. **ხავთასი 1977:** ხავთასი გ., რევიშვილი შ., ორლოვსკაია ნ., გაჩეჩილაძე გ. *საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია I*. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი: 1977
15. **ჯაოშვილი 2006:** ჯაოშვილი მ. *ფრანგული ლიტერატურა, შუა საუკუნეები*. თბილისი: გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2006.
16. **მჭედლიშვილი დ., საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.** *აღორძინება, რენესანსი* <<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=7&t=984>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021]

17. ლელაძე ა. *რენესანსი* <<https://www.academia.edu/38970771/რენესანსი>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021]
18. Cartwright M. World History Encyclopedia, *Renaissance Humanism* <https://www.worldhistory.org/Renaissance_Humanism/> , [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021]
19. Hankins, James. 2011. *Civic Knighthood in the Early Renaissance*, <<https://dash.harvard.edu/bitstream/handle/1/5473602/militiahankins.pdf?sequence=1>> , [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021]
20. Chivalry <<http://www.medieval-life-and-times.info/medieval-knights/chivalry.htm>> , [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021]
21. *რენესანსის კულტურა, ნაწილი IV*, <<https://milpark.ru/ka/kachestvenno-novyi-etap-v-kachestvenno-novyi-innovacionnyi-etap/>> , [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021]
22. რენესანსი: მახასიათებლები, კონტექსტი, სცენები, პოლიტიკა <<https://ka.warbletoncouncil.org/caracteristicas-renacimiento-1836>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021]
23. де Труа К. *Ивэйн, или Рыцарь со львом* <<https://bookscafe.net/read/de-trua-kreten-iveyn-ili-rycar-so-lvom-261086.html#p5>> , [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.07.2021]
24. де Труа К. *Ланселот, или Рыцарь телеги* <<https://facetia.ru/sites/default/files/Kretyen-de-Trua-Lanselot-ili-Rytsar-telegi.pdf>> , [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.07.2021]
25. де Труа К. *Персеваль, или Повесть о Граале* <<https://www.rulit.me/books/perseval-ili-povest-o-graale-read-457267-1.html>> , [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.07.2021]
26. де Труа К. *Эрек и Энида* <<https://litvek.com/book-read/507919-kniga-kreten-de-trua-erek-i-enida-chitat-online>>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.07.2021]